№ 2839
ხუთშაბათი,
9 ივნისი

ცნობის ფურცელი

№ 2839
ხუთშაბათი,
9 ივნისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ვაჭრობა ნახევარ ფასად

განცხადება
ისარგებლეთ იშვიათი შემთხვევით
დამზადებულ ტანსაცმლის დეპო
ი. ვ. ხუდავერდიანცისა
გოლოვინის პროსპექტზე, პირველ გიმნაზიის პირდაპირ.

აუწყებს ტფილისის საზოგადოებას, რომ ვაჭრობის შემცირების გამო, 27 მაისიდან მოკლე ვადით დანიშნულია **არა ჩვეულებრივ იაფი ვაჭრობა** ნახევარ-ფასად დეპოს ყველა საქონლისა კაცების, ქალების და ბავშვების ტანსაცმლისა, რუსეთისა და ინგლისის ქარხნების მაუდებისა. დეპოს საჭიროდ არ მიაჩნია რეკლამის საშუალებით აღნიშნოს ხსენებულ საქონლის იაფი ფასები და სთხოვს მუშტრებს პირადად დარწმუნდნენ. ყველა საქონელს გადაკრული ფასი აწერია ფერადი კარანდაშით, ნარდათ მოვაჭრეთ შეღავათი ეძლევათ. იაფი ვაჭრობის დროს მაღაზია გაღებული იქნება დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდის.

(ჩ—5) პატივისცემით დამზადებულ ტანსაცმლის დეპო **ვ. ი. ხუდავერდიანცისა.**

ვაჭრობა ნახევარ ფასად

ივნისის 12 „ბელვიუს“ ბაღში გაიმართება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

სეირნობა და ბაზარი
მიიღება შემოწირულება ბაზრობისთვის „საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა თავად-აზნაურობის ქარვასლა)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
# ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
შეუვაჭრებლად. (0—46)

საპედაგოგიო საბჭო
ტფილისის მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებლისა
ამით აცხადებს, რომ, ქალაქის გამგეობის 1905 წლის 12 მაისის დადგენილების თანახმად, მდგომარე წელს მოსწავლეთა მიღების დროს უპირატესობა მიეცემა ქალაქ ტფილისში დაბადებულთ, თუ დედ-მამა წარმოადგენს საბუთის ქაღალდს ამისას, რომ ისინი ტფილისის საოჯახო სიებში არიან შეტანილნი. ამას გარდა ვისაც სასწავლებელში შესვლა ჰსურს, უნდა წარმოადგინოს: დაბადება-მონათვლის მოწმობა, ყვავილის აცრის მოწმობა და იმის მოწმობა, თუ რა სწავლა აქვს მიღებული. (6—3)

რესტორანი
„ფუნიკულერი“.
1 ს.—5 ს. სადილი 4 ბლუდი 1 მ.
სადილი 8 ივნისისთვის
დანიშნული განსაკუთრებულ გამოცდილის მზარეულის მ. მიშელის.
1. ბორში უკრეულად პიროჟკებით.
2. სუფი ფინზორი პიროჟკებით.
3. გლაზანკი ზაპეჩონი.
4. როსტბი გარნირით.
5. მუს. კლუბნიკის.

და 6 ყავა.
მოძრაობა ფუნიკულერის ვაგონებისა დილის 8 ს. ღამის 12 საათამდე.
5 საათიდან—10 საათამდე უკრავს ორკესტრი 8-კავკასიის მსროლელთა ბატალიონისა კაპელმეისტერ ფიდელმანის ზედამხედველობით.
(0—30) პატრონი ნ. ტ. ჩიკვაიძე

ახალი ბუფეტი
„არარატი“
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 88, ს. არუთინოვისა).
სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.
(თვ.—6.—20) პატივის ცემით ვანო.

მეორე საზოგადო კრება
ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა საზოგადოებისა
დანიშნულია 19 ივნისისთვის ქალაქის საბჭოს დარბაზში.
განსახილველი საგნები: ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა ქონებრივი მდგომარეობა და პრესის ვითარება კავკასიაში. კრება დაიწყება დილის 11 საათზე. შესვლისას წარდგენილ უნდა იქნას საწევრო ბილეთი.
შენიშვნა: იმ წევრებს, რომელთაც არ შეუტანიათ ყოველთვიური გადასახადი, შეუძლიანთ შეიტანონ კრების დღეს. (3—6.—2)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 12.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან.
ბანკის მორიგ კრების რწმუნებულთა თავმჯდომარე სავალდებულოდ სთვლის მოაგონოს ბ-ნ რწმუნებულთ, რომ ეხლანდელ სხდომის გაგრძელება დანიშნულია ამა ივნისის 12 ს. დილის 10 საათისთვის, ბანკის შენობაში. (2—6.—2)

გაიღო რესტორანი ბაღით
„კავკაზი“
(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.
მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:

ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო.	50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით	75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით	1 მ.

დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.
ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მართველი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი **ტ. ი. ფარჯანიძე.** (15—244—4)

სადგურ ტფილისიდან სადგურ ნატანებამდე, გზაში, ვაგონის მე-2 კლასში, 1904 წლის 10 დეკემბერს, დაიკარგა ჩემოდანი რომელშიაც იყო:
ასმანეთიანი ქაღალდის ფული და შემდეგი ნივთები: ვერცხლის სათუთუნე მონოგრამით; ზაპონკები საფირონით; ერთი ბრიუსელის აბრეშუმის ყაბალახი; ბრიუსელის ერთი შავი ნაკოლკა; რუსული აბრეშუმის შალი; დიდი სპარსული შავი შალი; დიდი თეთრი, აზიურ მაუდის მოსახურავი; 2 შავი აბრეშუმის კაბა აბრეშუმისავე სარჩულზე; ერთი შავი შალის კაბა; აბრეშუმის კარგი პერანგი; შავი ტიული; 3 ტიული თეთრის არშიით; შავი შალი თეთრის წერტილებით; შავი აბრეშუმის იუბკა; სამი სარტყელი ბანტითა და პრიაჟკებით; 6 პერანგი; 2 თეთრი და შავი სარტყელი ლენტებისა; რამდენიმე პერანგი და პერანგის ამხანაგი; ძვირფასი ფეხსაცმელი ფოლაქებით; ტუფლები; 12 წყვილი ჩულქი სხვა და სხვა ფერისა; ზეწრები; სკატერტები; სალფეთკები; პირსახოცი; კორსეტი; ცხვირსახოცები; ხელთათმანები; სხვა და სხვა ლენტი და ქაღალდი. (2—1)

ექიმი
ნ. ტ. მულინი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დღისით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდებნი ქ. № 26. (20—6.—11)

კბილის ექიმი
ალ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—22)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე ე 6. (30—25).

რუსეთ-იაპონიის ომი
დეპეშები
„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
7 ივნისი

პარიზი, 7 ივნისი. ადმ. რიშარი ინიშნება შორეულ აღმოსავლეთის ესკადრის მთავარ კამანდირათ. იაპონელების გამარჯვებანი ძლიერს წუხილსა და შიშს იწვევენ ვაშინგტონში. ვაშინგტონის საპატიო წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, როგორც რომ დანიშნავენ იაპონელები თავიანთ რწმუნებულთ, რუზველტი დროებით ზავის ჩამოგდებას შესთავაზებს მებრძოლთო. იაპონია დაეთანხმება იმ პირობით, რომ დროებით ზავზე ხელს მოაწერენ ლინევიჩი და ოიამა. იაპონია წინადადებას მისცემს, რომ რწმუნებულთა თათბირი ვაშინგტონში 19 ივლისს შესდგეს. იაპონიას ჯერ არ დაუნიშნავს რწმუნებულნი.

ვაშინგტონი. გაზეთ „ჩიკაგო რეკორდ ჰერალდ“-ის სიტყვით, პრეზიდენტ რუზველტს პირდაპირ პირადი მიწერ-მოწერა ჰქონდა იმპერატორ ვილჰელმთან. იმათ ისარგებლეს ისეთი შიფრით, რომელიც მარტოკა მათ იციან. ამბობენ, ეს დეპეშები ზავს შეეხებოდნენო. რუზველტმა დაიწყო მიწერ-მოწერა მაშინვე ცუსიმას უბედურების შემდეგ და იქამდე სწერა, სანამ რუსეთი არ დასთანხმდა ზავზე თათბირის გამართვას. რუზველტი სარგებლობდა ვილჰელმის დახმარებით, რათა გავლენა ექონია რუსეთზე.

ვაშინგტონი, 7 ივნისი. ხმებია, რომ რუზველტს ეშინიან მანჯურიაში დაწყებული სისხლის ღვრა ცუდს გავლენას იქონიებს ზავის შესახებ გამართულ მოლაპარაკებაზეო და დაჟინებით სთხოვს მებრძოლთ, დროებითი ზავი ჩამოაგდონ დაუყოვნებლივ.

ლონდონი, 7 ივნისი. ბალფურმა განაცხადა დეპუტატთა პალატაში, მეშინია არ გამართლდეს ცნობა რუსის კრეისერების მიერ ინგლისის გემ „სენტ კილდა“-ს ჩაძირვაზეო. ინგლისის მთავრობა დაუყოვნებლივ შეეკითხა ამის შესახებ რუსეთის მთავრობას, რომელთანაც მიწერ-მოწერა ჯერაც არ დასრულებულა. ინგლისის მთავრობას ძლიერ აინტერესებს ეს საქმე, რადგანაც მას დაბეჯითებითი სიტყვა მისცა რუსეთის მთავრობამ, რომ ამგვარი შემთხვევები არ განმეორდებაო.

პეტერბურგი. გუშინდელს აუდიენციაზე პროფესორმა ტრუბეცკოიმ სიტყვით მიჰმართა ხელმწიფე იმპერატორს: „თქვენო უდიდებულესობავ, ნება მიბოძეთ მოვახსენო თქვენს უდიდებულესობას ჩვენი ღრმა და გულწრფელი მადლობა მიღებისათვის. თქვენ კარგათ გაიგეთ ის გრძნობანი, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით და არ დაუჯერეთ იმათ, ვინც ჩვენ, საერო და საზოგადო მოღვაწეთ თქვენი ტახტისა და რუსეთის მოღალატეებათ გვსახავდა. აქ მოგვიყვანა ერთმა გრძნობამ—სამშობლოსადმი სიყვარულმა და თქვენდამი ჩვენის მოვალეობის შეგნებამ. ვიცით, ხელმწიფევ, რომ ამ ჟამად თქვენ ყველაზე მომეტებულად იტანჯებით. ჩვენთვის სასიამოვნო იქნებოდა თქვენთვის ნუგეში გვეცა, მაგრამ, თუ ამის მაგიერ სხვა სიტყვებით მოგმართეთ, დაიჯერეთ, მეფევ, რომ მოვალეობის გრძნობამ გვაიძულა და საშიშ მდგომარეობის შეგნებამ. ხელმწიფევ, მთელის სახელმწიფოს მოძრაობაში ჩვენ აჯანყებას კი არ ვგულისხმობთ, რომელიც თავის თავად ნორმალურ პირობებში საშიში არ არის, არამედ ვგულისხმობთ საერთო მოუწყობლობას და სრულს გათახსირებას, რომლის მოსპობა დღევანდელ მთავრობას არ ძალუძს. რუსეთის ხალხს პატრიოტიზმი არ დაუკარგავს, კიდევ სწამს მეფე და რუსეთის ძლევა-მოსილობა, მაგრამ სწორედ ამიტომ ვერ გაუგია, ვერც ჩვენი დამარცხება და ვერც ჩვენი შინაური არეულობა. ხალხი გრძნობს, რომ მოტყუებულია და ეჭვი ეპარება მეფესაც ატყუებენო; ხოლო როცა ხალხი ხედავს, რომ მეფეს კეთილი სურს, ბოროტება კი ხდება, რომ მეფე ერთს ამბობს და სულ სხვა კი კეთდება, რომ თქვენ განზრახვებს ფრთებს უკვეცავენ და რომ მათს აღმასრულებლად ინიშნებიან რეფორმების ნამდვილი მტრები, მაშინ ხალხის იჭვი რწმენად იქცევა და იზრდება. საშინელი სიტყვა „ღალატი“ უკვე გაისმა და ხალხი ეძებს მოღალატეებს ყველგან და ყველაში: გენერლებში, თქვენს მრჩევლებში, ჩვენში და, საზოგადოდ, ყველა განათლებულებში. ხალხის ამ მდგომარეობითა და გრძნობით ყველა სარგებლობს: ზოგი აქეზებს მას მემამულეებზე, ზოგი—მასწავლებლებზე და ერობის ქომებზე; მცხოვრებთა ერთ ნაწილს აქეზებენ მეორეზე. შეურაცხებული და საშინელი მძულვარება, გამწვავებული გაჭირვებითა და მწუხარებით, შევიწროებითა და ეკონომიურის პირობებით, თან და თან იზრდება და მით უფრო საშიშია, რომ თავდაპირველად პატრიოტულის სახით გამოდის. აი საშინელი საფრთხე, ხელმწიფევ, რომლის მნიშვნელობა ჩვენ გავიგეთ და რომლის შესახებ თქვენის უდიდებულესობისათვის მოხსენება მოვალეობად ჩავთვალეთ. ერთად-ერთი გზა, რომელმაც უნდა გვიხსნას ამ საშინელ მდგომარეობიდან და რომელიც თქვენმა უდიდებულესობამაც აღნიშნა, არის—სახალხო წარმომადგენელთა მოწვევა. ყველას გვწამს ეს გზა, მაგრამ ამასთანავე ვიცით, რომ არის ისეთი წარმომადგენლობაც, რომელსაც არ შეუძლიან თქვენ კეთილ განზრახვათა ასრულება. ნამდვილმა სახალხო წარმომადგენლობამ უნდა დაამყაროს შინაური მშვიდობიანობა, შექმნას ახალი ცხოვრება, შეაერთოს მცხოვრებთა ნაწილები და, ბოლოს, უნდა გადააკეთოს სახელმწიფო წესწყობილება. ჩვენთვის არ დაუვიწყებიათ ვილაპარაკოთ აქ იმაზე, თუ რა რეფორმას მიიღებს მომავალი სახალხო წარმომადგენლობა ან როგორ უნდა მოხდეს არჩევნები; თუ ნებას გვიბოძებთ, ხელმწიფევ, ჩვენ შეგვიძლია მოგახსენოთ მხოლოდ ის, რაც გვაერთებს რუსების უმეტესობას: საჭიროა, რომ ყველა თქვენი ქვეშევრდომნი განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა და სარწმუნოებისა თავიანთ თავს თანასწორ მოქალაქეებად გრძნობდნენ. რომ მცხოვრებთა არც ერთი ჯგუფი არ იქნას წარმომადგენლობიდან გარიცხული; საჭიროა, რომ განახლებულ სახელმწიფოს შინაური მტრები არა ჰყავდეს, ამისათვის-კი საჭიროა, რომ უფლება არავის არ წაერთვას ან არ შეეზღუდოს. ჩვენ გვინდა, რომ ყველა თქვენი ქვეშევრდომი, თუნდაც სხვა მოდგმისა და სარწმუნოების იყოს, რუსეთს თავის სამშობლოდ სთვლიდეს, თქვენ-კი—თავის ხელმწიფედ; ჩვენ გვსურს, რომ ყველა არა რუსთ ისე უყვარდეს რუსეთი, როგორც ჩვენ გვიყვარს, და რომ ყველანი რუსეთის შვილებად გრძნობდნენ თავს. სახალხო წარმომადგენლობამ უნდა დაამყაროს შინაურ განწყობილებაში მშვიდობიანობა, ამიტომ იგი არ უნდა იქნეს წოდებრივი. როგორც რუსის მეფე არ არის მეფე მარტო თავად-აზნაურთა, გლეხთა ანუ ვაჭართა, არ არის მეფე წოდებათა, არამედ მეფეა სრულიად რუსეთისა, ისე მცხოვრებთაგან ამორჩეულმა პირებმა, რომელნიც მოწოდებულნი არიან თქვენთან ერთად იმუშაონ სახელმწიფო საქმეებზე, უნდა სამსახური გაუწიონ არა წოდებრივ, არამედ მთელის სახელმწიფოს ინტერესებს. თუ წარმომადგენლობა იქნება წოდებრივი, ის გამოიწვევს წოდებრივ გამწვავებას იქ, სადაც იგი სრულებით არაა. ამას გარდა ხალხის წარმომადგენლობა უნდა ემსახუროს „სახელმწიფოს გარდაქმნის“ საქმეს. ბიუროკრატია არსებობს ყველგან, ყოველსავე სახელმწიფოში და მისი გაკიცხვით ჩვენ ბრალსა ვდებთ არა ცალკე პირთ, არამედ მთელს „ბიუროკრატიულ წესწყობილებას“. განახლებულ წესწყობილების დროს ბიუროკრატიამ უნდა დაიჭიროს შესაფერი ადგილი. მან-კი არ უნდა სთელოს თქვენი ხელმწიფებრივი უფლებები, არამედ ის პასუხის მგებელი უნდა იყვეს. აი საქმე, რომელსაც სამსახური უნდა გაუწიოს ამორჩეულ წარმომადგენელთა კრებამ. მას არ შეუძლიან ჩაკერებულ იქნას ბიუროკრატიულ დაწესებულებათა ძველის სისტემის ნაჭრებთა შორის, არა, ეს კრება უნდა დამყარდეს თვით-მოქმედ დამოუკიდებელ ნიადაგზე და იმასა და თქვენს შორის აღარ უნდა აღიმართოს ახალი ზღუდენი ბიუროკრატიულ დაწესებულებათა სახით. თქვენ თვითონ დარწმუნდებით, ხელმწიფევ, ამაში, როცა მოიწვევთ ხალხის არჩეულებს და პირის-პირ შეხვდებით მათ, ისე, როგორც ჩვენ ვდგევართ ეხლა თქვენს წინაშე. დაბოლოს თქვენ მიერ ნაბრძანები რეფორმები ისე ახლოს ეხებიან რუსეთის ხალხსა და საზოგადოებას, რომელნიც მოწოდებულნი არიან სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მისაღებათ, რომ რუსეთის ხალხს არამც თუ არ შეუძლიან, ის ვალდებულია გულ-ხელდაკრეფილი არ უყუროს ამ რეფორმებს; ამისათვის საჭიროა, ნება გამოვიდეს, რაც შეიძლება, ვრცლად იქნას სჯა-ბაასი სახელმწიფოს განახლების შესახებ არამც თუ ამორჩეულთა პირველ კრებაზე, არამედ ეხლავე, პრესასა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში. დამღუპველი ბედი ექნება ერთმანეთის მოწინააღმდეგე განკარგულებებს—საზოგადოებრივ ძალების სახელმწიფოს საქმეებზე სამუშაოდ მოწვევას, ერთის მხრივ, და ამასთან რეფორმების განუხორციელებლად... (?) ეს ხელს შეუშლის სახელმწიფოს განახლების საქმეს. ნდობა უნდა დაედოს ქვა-კუთხედათ რუსეთის აღორძინებას, ხელმწიფევ!“ ამის შემდეგ პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ნ. პ. ფედოროვმა წარმოსთქვა შემდეგი: „ნება მიბოძეთ, თქვენო უდიდებულესობავ, იმის, რაც ეხლა სთქვა თ. ტრუბეცკოიმ, დავძინო, თუ რა აღელვებს და აწუხებს ქალაქებს. ქალაქი და სოფელი ისე დაახლოვებულია ერთმანეთთან, რომ ყოველი გასაჭირი სოფლისა გავლენას ახდენს ქალაქის კეთილ-დღეობაზეც. ღარიბდება სოფელი, და ქალაქსაც ცუდათ მისდის საქმე. არ შეგვიძლიან არ ვიწუხოთ მომავალზე. როგორც უნდა გადასწყვიტოთ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, ომისა და მშვიდობიანობის საქმე, ომი ხომ მაინც გათავდება ოდესმე და მაშინ საჭირო იქნება განიკურნოს მის მიერ მოყენებული ჭრილობები, ჭრილობანი ეკონომიური და ფინანსიური. ჩვენ წინ-და-წინ გვხედავთ, რომ ჩვენს ბიუჯეტს ამისთვის რამდენიმე მილიონი უნდა მოემატოს წელიწადში. რომ ვიშოვნოთ ეს მილიონები, რომ ვიპოვოთ წყაროები ამ ხარჯების დასაფარავად, ამისათვის საჭიროა შევუდგეთ დიდს კულტურულ მუშაობას, უნდა ვიზრუნოთ გაძლიერებულ იქნას ჩვენის ქვეყნის მწარმოებელი ძალები, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მოწოდებულ იქნებიან სამშობლოს ცხოვრების სათავეში ჩასაყენებლად ხალხის ნიჭიერი ნაწილი, ტალანტები ხალხის მიერ აღზრდილნი, როცა საზოგადოებას საშუალება მიეცემა მისცეს თავის მოქმედებას ფართო და დამოუკიდებელი ასპარეზი. თქვენ უდიდებულესობას ჰყავს, მართალია, ნიჭიერი კაცები, მაგრამ მცირეა მათი რიცხვი და, ამას გარდა, ისინი მხოლოდ თავიანთ კაბინეტებიდან და კანცელარიებიდან ადევნებენ თვალს ხალხის საჭიროებას და მისს მოთხოვნილებებს, მაშინ როცა მომავალი საქმე ითხოვს ისეთ პირებს, რომელნიც ცხოვრებას სათავეში უნდა მოექცნენ. აი რისთვის უერთდებიან ქალაქებიც ერობებს, რომელთა აზრები გადმოგვცა წეღან აქ თავადმა ტრუბეცკოიმ“.

ქრისტიანია, 7 ივნისი. სტორტინგმა, ხმის უმეტესობით ათის წინააღმდეგ, მიიღო მეფის ადრესი. ამ ადრესში სტორტინგი სთხოვს მეფეს, რიკსდაგს და შვეციის ხალხს ხელი შეუწყოს უნიის შესახებ საკითხის მშვიდობიანურ გადაწყვეტას, რათა უზრუნველ ჰყონ ორივე ხალხის მეგობრობა და თანასწორობა. ეს ამბავი ისტორიულ მოვლენის აუცილებელ შედეგად ჩაითვლება და არ შეიძლება მისი გაუქმება. ამიტომ სტორტინგს არა სურს მეფის მიერ აღძრულ კონსტიტუციისა და სახელმწიფო უფლების შესახებ საკითხების განხილვაში შევიდეს... შვეციაში გამოთქმულ აზრების მიხედვით სტორტინგი დარწმუნდა, რომ უნიის გაუქმება შეურაცხყოფად ჩასათვლელი იქნება შვეციაში. სტორტინგს არასოდეს არ ჰქონია ამისთანა განზრახვა. ნორვეგიის ხალხს არავითარი ცუდი გრძნობა არა აქვს არც მეფისა და არც შვეციის ხალხის წინააღმდეგ. 90 წლის საერთო მუშაობის შემდეგ მათ გულწრფელი მეგობრობა შექმნეს შვეციისადმი. ეს გრძნობები ეხლა ხელმეორედ გაიღვიძებენ და განამტკიცებენ ურთიერთ შორის შეთანხმებას. სწამს რა, რომ შვეცია თანაუგრძნობს ამ აზრს. სტორტინგი თხოულობს, შეწყნარებულ იქმნას ნორვეგიის უფლებანი და გამართოს მოლაპარაკება ამ საკითხების საბოლოოდ ასახსნელად. სტორტინგი თავის მხრივ მზად არის დააკმაყოფილოს ყოველივე კანონიერი სურვილი.

ლოძი, 7 ივნისი. ტორგოვი ქუჩაზე ბოროტგამზრახველთ რევოლვერი ესროლეს მოარაჯე სალდათს კორნილოვს, რომელიც საშიშრად დაიჭრა ტყვიით.

ვარშავა, 7 ივნისი. ათი დღის შეჩერების შემდეგ პოლონური უძველესი გაზეთი „ვარშავის გაზეთი“ განახლებულ იქმნა რედაქტორის ლეშნოვსკის მიერ.

მოგილევი. კნეინა პასკევიჩისამ სახალხო მასწავლებელთა ურთიერთ შორის დამხმარებელ მოგილევსკის საზოგადოებას შესწირა 5 ათასი მანეთი.

ხერსონი. ვაჭართა და ნოქართა მოლაპარაკებისამებრ დადგინდა 12 ს. მუშაობა ზაფხულში და 13 ს. ზამთარში. სადილისთვის საათ ნახევარია გადადებული.

მინსკი. ვილნის გუბერნიაში დაბა მოლოდეჩნო გაუნადგურებია ცეცხლს. მცხოვრებლები, უმეტესად ებრაელები, სრულიად უმწეოდ დარჩნენ.

თავრიზი (ჯულფის გზით), 2 ივნისი. გუშინ ხმა გავარდა, ერევანში მოჰკლეს სასულიერო პირი, ნათესავი თავრიზის მუშტეიდისა. ბაზარი დაიხურა. შეიკრიბა ხალხი და გაცხარებით ისმენდა მგრძნებარე სიტყვებს. ძლიერ შეწუხებული მდგომარეობაა. ღამემ შიშში გაიარა. მთელს ქალაქს პატრული უვლის.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
7 ივნისი

ტოკიო, 6 ივნისი. აქ სულ იმაზე აქვთ სჯა-ბაასი, თუ როდის შეხვდებიან და როგორ პირობებს შეიმუშავებენ მებრძოლთა რწმუნებულნი ზავის შესახებ. ვაშინგტონიდან მოსულ ცნობებით, რწმუნებულთა შეხვედრაზე დაწვრილებით მოლაპარაკებას ჩქარა დაასრულებენ. ამ ჟამად თათბირობენ სახელმწიფოს წარჩინებულნი და მინისტრები ზავის პირობებზე და რწმუნებულთა ამორჩევაზე. ჰფიქრობენ, ჩქარა ყველაფერს გაათავებენ და რწმუნებულნი სხვა, გასაგზავნათ ამორჩეულ პირებთან ერთად, 17 ივნისს გემ „იმპერატრიცა ინდიის“-ით გაემგზავრებიანო. ომის ამბები ჩქარის ნაბიჯით მიდიან წინ. ჩქარა დიდს ოპერაციებს მოელიან ომის ასპარეზის სხვა და სხვა ადგილებში.

ბერლინი, 7 ივნისი. „ბერლ. ტაგებლატ“-ს ატყობინებენ დეპეშით ნიუ-იორკიდან, რომ რუზველტი ურჩევს იაპონიას სამის თვის ვადით ჩამოაგდოს დროებითი ზავი. კასსინი და ტაკახირა წინასწარ ოქმს ხელს, ალბად, პარასკევამდე მოაწერენ. რუსეთმა არ უნდა გაჰგზავნოს ამ დროის განმავლობაში მაშველი ჯარები ომის ასპარეზზე. ამბობენ, ლინევიჩი ხარბინისაკენ დაიხევსო.

კიევი. ტრამვაის მოსამსახურეების მოთხოვნების უმეტესი ნაწილი დააკმაყოფილეს. მიმოსვლა დაიწყო.

ხარკოვი. პურის-მცხობელნი ისევ გაფიცულნი არიან. ქალაქში მეორე დღეა პური არ მოიპოვება. გამომცხვარი პური ბელგოროდიდან მოაქვთ. ადები არ აკმაყოფილებენ პურის-მცხობელთ.

ვარშავა, 7 ივნისი. გაზეთები გვაცნობებენ, რომ ვარშავაში მოელიან საფრანგეთის ლიტერატორებს, რომლებიც გაემგზავრებიან პეტერბურგს, მოსკოვსა და კავკასიაში. ამ ლიტერატორთა შორის იმყოფება ანატოლ ფრანსიც.

პეტერბურგი, 7 ივნისი. გუშინ პეტერგოფში წამდგარი დეპუტაცია დღეს საღამოზედ მიემგზავრება მოსკოვში, სადაც მოახსენებს იმათ მიღების თაობაზედ.

პეტერბურგი, 7 ივნისი. წყნარ ოკეანეს გემთა მეორე ცალკე რაზმის უფროსი კონტრ-ადმირალი ბეკლემიშევი ინიშნება ბალტიის ზღვის ატრიადის უფროსად.

პეტერბურგი, 7 ივნისი. ოფიციალური. მინისტრებმა 7 ივნისის სხდომაზე განაგრძეს განმეორებითი კითხვა ხალხის წარმომადგენლების მოწვევის პროექტის სქემისა. შემდეგი კრება იქნება 9 ივნისს; ამ სხდომაზე ფიქრობენ არჩევანთა სისტემისა და საცენზო პირობების გარჩევას შეუდგნენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. ხან იმედიანი კილოა გაზეთებში, ხან სრულიად უიმედო. ზოგი კორესპონდენტი ამტკიცებს—მშვიდობიანობის პარტიამ გაიმარჯვა პეტერბურგშიო, ზოგიც უნდო თვალით შესცქერის მომავალს—ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს ჭკუა იმათ, ვის ხელშიაც არის უფლება ომის განგრძობისა თუ ზავის ჩამოგდებისაო.

გაზეთ „ტან“-ის კორესპონდენტი იტყობინება გუნჩულინიდან: გენერალ ლინევიჩს სამხედრო თათბირი ჰქონდა 28 მაისს და თათბირის შემდეგ ხელმწიფეს დეპეშა გაუგზავნა ჯარის ყველა უფროსების მიერ ხელმოწერილი—„რუზველტის წინადადების ამბავი შევიტყეთ და მაშინვე მოვიწვიე სამხედრო საბჭო ჯარის ყველა უფროსებისაგან. განვიხილეთ ზავის მოტივები, გავითვალისწინეთ პოზიციები, რომელიც დღეს მებრძოლ ჯარებს უკავიათ, და მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ყველა ჩემი ამხანაგები ერთხმად ენერგიულად თხოულობენ ომის განგრძობას, სანამ ყოვლად ძლიერი ღმერთი არ ინებებს გამარჯვება არგუნოს ჩვენ მამაც ჯარებს. დრო არ არის ზავზე ვილაპარაკოთ მუკდენისა და ცუსიმას ბრძოლის შემდეგ. მტერი, თავბრუდახვეული თავის გამარჯვებით, უთუოდ ჩვენის სამშობლოს დამამცირებელ პირობებს წარმოადგენს. ჩვენ არ უნდა მივიღოთ ეს პირობები. ასეთ უკიდურესობამდე ჯერ არ მივსულვართ. ექვს გარეშე—ცუსიმასთან დამარცხება სამწუხარო ამბავია, მაგრამ მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ჩვენ მამაც ჯართან, რომელიც მშვენიერ მდგომარეობაშია და რომელსაც სურვილის ალი აქვს მოდებული, რომ მტერს სამაგიერო გადაუხადოს და გაიმარჯვოს. ჩვენი ჯარის პოზიციები მშვენიერად არის გამაგრებული. აქამდე წვიმები მიშლიდა მტერს თავს დავცემოდი; მაგრამ ეხლა, როცა ჩვენი ჯარის ზარალი შევსებულია, როცა ჯარს ახალი კორპუსები მოემატა, შემიძლია წინააღმდეგობა გავუწიო მტერს. იმედი მაქვს, რომ ამ ერთის თვის განმავლობაში მტერს თავს დავესხმი და სრულიად შეიცვლება საქმის მდგომარეობა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რუსეთს შეუძლია რწმენა იქონიოს ჩვენის ჯარის ძალისა და ძლიერებისა. ჩვენი მდგომარეობა სრულიად არ არის ისე კრიტიკული, რომ აუცილებელი იყო ზავი, რომლის პირობები რუსეთისათვის ხელსაყრელი არ იქნება.

გუნჩულინი, 28 მაისი 1905 წ. მთავარსარდალი ლინევიჩი, ჯარის უფროსები—კუროპატკინი, კაულბარსი, ბატიანოვი; შტაბის უფროსი სახაროვი; გენერლები—რენენკამფი, ზარუბაევი, ბილდერლინგი, ლვოვი, სამსონოვი, დანილოვი, კორფი“. („რ. ვ.“).

ბევრს უკვირს რუსის ჯარის მთავარ-სარდლის ასეთი იმედიანობა და ჰკითხულობს, ასეთ ქადილს, რა ძალა უდევს სარჩულადო. არც ერთ სერიოზულ გაზეთს, რუსულსა თუ საზღვარ-გარეთელს არა სჯერა რუსის ჯარის გამარჯვება, მაგრამ მაინც შიშობენ, რომ პეტერბურგში კიდევ გაჯიუტდებიანო.

„მატენ“-ის კორესპონდენტი ზავის ჩამოგდების იმედს მხოლოდ იმპერიის აწეწილ მდგომარეობაზე ამყარებს, თუმცა თან იმასაც დასძენს, რომ რუსეთში ეხლა ლოღიკურად მსჯელობა და შესაფერ დასკვნის გამოყვანა შეუძლებელი არისო. „რაც გუშინ ჭეშმარიტება იყო, დღეს სიყალბე გამოდგა. ეს გარემოება ხშირად ყოფილა აღნიშნული ოფიციალურ აქტების შესახებაც კი... განა შინაურ პოლიტიკის სფერაში არ იყო მთელი რიგი ერთი მეორის წინააღმდეგ განკარგულებათა? და ეს ხომ იმას მოწმობს, რომ მთავრობამ თვითონ არ იცის რა ჰქნას და ემორჩილება სულ სხვა და სხვა გავლენას!“

ზავის პირობებზე ბევრს რასმე სწერენ. სხვათა შორის „დეილი ტელეგრაფ“-ი სწერს: „... რომ მივხვდეთ, თუ როგორი იქნება ზავის პირობები, საჭიროა იმის განხილვა, თუ რამ გამოიწვია ეს ომი.

იაპონიამ დაიწყო ომი თავის ეროვნულ დამოუკიდებლობის დასაცველად. რუსეთმა მიიღო გამოწვევა იაპონიისა, რომ დაეცვა გავრცელება თავის უზარ-მაზარ იმპერიისა, იმის მიუხედავათ საშიშია თუ არა ეს გავრცელება იაპონიის დამოუკიდებლობისათვის. აქედან ჩვენ იმ დასკვნის გამოყვანა შეგვიძლიან, რომ იაპონია, გარდა სამხედრო კონტრიბუციისა, მოითხოვს კიდევ, რუსეთი დაბრუნდეს ციმბირის საზღვრებში; მოითხოვს აგრეთვე პროტექტორატს კორეაზე და ვლადივოსტოკის თავისუფალ სავაჭრო ნავთ-სადგურად გამოცხადებას. ეს მინიმუმია იაპონიის მოთხოვნებისა.

პორტ-არტური შეიძლება მიეცეს იაპონიას საიჯაროდ, როგორც რუსეთს ჰქონდა, და, იაპონია ისეთს არას მოითხოვს, რაც არსებითად საჭირო არ იქნება მის უშიშრადყოფისა და დამოუკიდებლობისათვის.

თუ ასეთი იქნა ზავის პირობები, სამშვიდობო მოლაპარაკებასაც კარგი შედეგი მოჰყვება და შორეულ აღმოსავლეთშიც ხანგრძლივი მშვიდობიანი ცხოვრება დამყარდება“.

ოიამას მეტი უფლება აქვს ქადილისა და აკი ამიტომაც არავის უკვირს იაპონიის მთავარ სარდლის წერილი, მიკადოს რომ მისწერა. მე და მთელი ჯარი პროტესტს ვაცხადებთ ზავის წინააღმდეგო; იმ დიდ ბრძოლას მაინც მოუცადეთ, ივნისის მეორე ნახევარში რომ გადავიხდითო. იაპონია თავის დღეში არ დასთანხმდება ზავს უკონტრიბუციოდო, რომელმაც უნდა დაჰფაროს არა მარტო სამხედრო ხარჯები და სესხები, არამედ ის ხარჯებიც, რომელნიც დასჭირდება მანჯურიიდან ჯარების გაყვანას. ე. ი. რუსეთმა უნდა გადაიხადოს უკვე დახარჯული 850 მილიონი იენა და კიდევ ყველა მომავალი ხარჯები. კიდეც რომ მოინდომოს მიკადომ უფრო ზომიერი და ნაკლებ დამამცირებელი პირობები მოსთხოვოს რუსეთს, ამას იგი ვერ გაბედავდა ხალხის აჯანყების შიშით. (ბ. ვედ.).

ცარსკოე სელოში უნდა ომხდარიყოს თათბირი ზავის ჩამოგდების შესახებ. ომის გაგრძელებას თხოულობდნენ სამხედრო მინისტრი სახაროვი და გენერალი გრიპენბერგი. წინააღმდეგი ყოფილან საზღვაო უწყების წარმომადგენელნი, მათ შორის ადმირალი აველანიც.

თუ „ბერლინერ ტაგებლატ“-ს დავუჯერებთ, ზავის მომხრეთა რიცხვი მატულობს პეტერბურგის გავლენიან წრეებში. ხსენებული გაზეთი ორის მიზეზით ხსნის ამ მოვლენას: ფინანსთა მინისტრის განცხადებით, რომ იგი ყოველ პასუხის გებაზე უარს ამბობს, თუ ომი გაგრძელდა სარევოლიუციო პროპაგანდით შორეულ-აღმოსავლეთის ჯარის კაცებსა და აფიცრებ შორის: „მთავარ-სარდალი იძულებული იყო დაეხვრიტა ორმოციდან ას-ორმოცამდე მარტო აფიცერი ზავის წინააღმდეგნი იმას ამტკიცებენ, რომ იმ კონტრიბუციას, რომელსაც იაპონია მოითხოვს, ვერ გადავიხდით, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სარევოლიუციო პროპაგანდის გავლენის ქვეშ მყოფი ჯარი, სამშობლოში რომ დაბრუნდება, სარევოლიუციო პარტიებს შეუერთდებაო.“

ახალი ამბავი

✦ **ერევნის ამბების** შესახებ „კავ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ცნობა: „მიღებულ ცნობებით, ზოგიერთი პირნი ერევნის გუბერნიიდან ტყუილ და ტენდენციოზურ ხმებს ავრცელებენ ერევნის ამბების შესახებ და ამით სცდილობენ უთანხმოების და შეტაკების გაძლიერებას. ასეთ ხმებს ავრცელებენ არა მარტო კავკასიის ქალაქებში, არამედ თავრიზშიაც. რადგან შეიძლება ასეთმა მოქმედებამ გამოიწვიოს არეულობა სხვა და სხვა ერთა შორის, ამიტომ ამით ვიწვევთ მცხოვრებთ სიფრთხილით მოექცნენ სხვა და სხვა შეუმოწმებელ ხმებს“.

✦ ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა კრების** გაგრძელება მოხდება დღეს, 9 ივნისს, დილის 10 საათიდან, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

✦ **სამღვდელოების 31 მაისის ინციდენტის** გამომძიებელმა კომისიამ უკვე დაამთავრა გამოძიება და საქმე კავკასიის ნამესტნიკს წარუდგინა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა, თიანეთის მაზრის უფროსის თხოვნის თანახმად, შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, რომ **თიანეთის მაზრიდან კენჭ-ნარგები ახალგაზდობა** სამხედრო სამსახურის მოსახდელად რუსეთში არ გაგზავნონ ხოლმე.

✦ 7 ივნის მოხდა პირველი კრება **მოქალაქეთა ახლად არჩეულ რწმუნებულებისა.** პირველად რწმუნებულთ ფიცი მიიღეს. შემდეგ კრებამ თათბირი გამართა და რწმუნებულნი, სხვათა შორის, შეეხნენ ქართლ-კახეთის სამღვდელოების ინციდენტს. კრებამ მოისმინა მთელი საქმის ვითარება, გაიცნო ქალაქის საბჭოს ამ საქმის შესახებ დადგენილება და გადასწყვიტა კომისიის არჩევა, რომელმაც ამ საქმის გამო უნდა შეიმუშაოს რეზოლიუციის პროექტი.

✦ 3 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების ალექსანდრე კორძაიასი, ორმელსაც **პოლიტიკური დანაშულობა** ჰბრალდებოდა. კორძაიას უნახეს პროკლამაციები ქართულს ენაზე. პალატაში გამოირკვა, რომ ბრალდებული წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილა, სადღაც პროკლამაციები უპოვნია, შინაარსის მნიშვნელობა არა სცოდნია და შეუნახავს. პალატამ კორძაია გაამართლა.

✦ ტფილისის მცხოვრები ანდრეევი პასუხის გებაში მიუციათ, როგორც **პოლიტიკური დამნაშავე.** ანდრეევს ჰბრალდებოდა უმაღლესის პირის სიტყვიერად ცუდად მოხსენება. პალატამ ეს საქმე განიხილა 3 ივნისს და გაამართლა ბრალდებული.

✦ გაჩხრეკის დროს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს ლევან მარსაგაშვილს აღმოაჩნდა ერთი ყუთი პროკლამაციებისა, ბროშურებისა და ჟურნალებისა. ყველა მთავრობის საწინააღმდეგო შინარსისა იყო. მარსაგაშვილი, როგორც **პოლიტიკური დამნაშავე,** პასუხის გებაში მისცეს. პალატამ ეს საქმე 4 ივნისს განიხილა, დამნაშავედ იცნო ბრალდებული და გადაუწყვიტა 10 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

✦ 4 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე რაჭის მაზრის მცხოვრების ივანე კერესელიძისა, რომელსაც პოლიტიკური დანაშაულობა ჰბრალდებოდა. 23 იანვარს ამა წლისა კერესელიძე **მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის დროს** ვითომ წითელი ბაირაღით ხელში ათასზე მეტ მუშას უძღოდა. კერესელიძესთან ერთად დააპატიმრეს 3[illegible] კაცი, მაგრამ მათ არავითარი დანაშაულობა არ დაუმტკიცდათ და გაანთავისუფლეს. პალატამ დამნაშავედ იცნო კერესელიძე და ოთხი თვით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტა, მაგრამ, რადგან ბრალდებული საპყრობილეში ამაზე მეტ ხანს იყო, იგი გაანთავისუფლეს.

✦ როგორც „ტიფ. ლის.“ გარდმოგვცემს, **ალავერდის ეპისკოპოსის თანამდებობას** აღარ აუქმებენ. გაზეთის სიტყვით, ალავერდის ეპისკოპოსად ნიშნავენ დედათა ინსტიტუტის სამღვთო სჯულის მასწავლებელს დეკანოზს კონჩუაშვილს.

✦ ბაქოში უკვე გამოვიდა **ახალი თათრული გაზეთი** „ჰაიატ“ (ცხოვრება). რედაქტორად ბ-ნი აგაევია.

✦ დღეს, 9 ივნისს, ტფილისის თავადაზნაურთა სკოლის სადგომში **განაგრძობენ კრებას ხსენებულ სკოლის საქმეების** გამო.

✦ 5 ივნისს ტფილისში მოხდა **სტუდენტების კრება** სტუდენტ სულხანიშვილის—ტირძნისელის საქმის გამოსარკვევად. ამორჩეულ კაცებს რამდენჯერმე მიუმართავთ სულხანიშვილისთვის და პასუხი მოუთხოვნიათ, მაგრამ მას საჭიროდ არ უცვნია პასუხის მიცემა. დღეს, 9 ივნისს, ტფილისში ხელ-ახალი კრებაა დანიშნული სტუდენტებისა.

✦ როგორც ზაქათალის ოლქის სოფელ ბელაქნიდან გვატყობინებენ, ყაჩაღის უსუფას მეთაურობით იქ შემდგარა **ყაჩაღთა ბრბო,** რომელიც მთელ ოლქს შიშის ზარსა სცემს თურმე. უსუფა პოლიციაზე ყოფილა გაჯავრებული და ჯავრის ამოსაყრელად რამდენიმე მამასახლისი მოუკლავს კიდეც. 29 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზედ, მოუკლავთ ბელაქნის საზოგადოების მამასახლისი ორის მხლებელით. ყაჩაღებს წაუღიათ მოკლულთა იარაღი, ტანისამოსი და ნივთები.

✦ 7 ივნისს, დიდუბის ქუჩაზე, დიტრიხის ლუდხანის ალაყაფის კარების წინ, ვიღაც უცნობმა გაურბინა პოლიციელს გლოვაცკის და **სამჯერ რევოლვერი ესროლა.** სასიკვდილოდ დაჭრილი პოლიციელი დაეცა. უცნობი მიიმალა. პოლიციელმა არ იცის, ვინაობა დაჭრილისა, არც მიზეზია გამორკვეული მკვლელობისა.

✦ **ნახიჩევანის მაზრაში დაზარალებულთა სასარგებლოდ** რედაქციამ თხუთმეტი მანეთი მიიღო, ი. გირეველის მიერ სოფ. ალვანში (კახეთში) შეკრებილი.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „**ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი**“ (საფრანგეთის ისტორიიდან), თარგმანი ლ. ელიავასი. ფასი ერთი აბაზი.

✦ **აბესალომოვის სახელობის სტიპენდია** აქვს ერთ სტუდენტს, გვარად კუკუჯანოვს. რადგან კუკუჯანოვს 200,000 მან. მემკვიდრეობა დარჩენია, ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა, სტიპენდიაზე ხელი აეღო, რომ ღარიბ კაცისათვის დაენიშნა. კუკუჯანოვმა ამაზე უარი განაცხადა და შეუთვალა, ვალი მაქვს გასასტუმრებელი და სტიპენდია მევე მინდაო. ურიგო არ იქმნება ამ საქმეს თვით სტუდენტებმა მიაქციონ ყურადღება.

✦ ტფილისის **სახაზინო თეატრის** დირექციის თავმჯდომარედ დაინიშნა გენერალ-მაიორი რადდე.

✦ მეორე დედათა საკვირაო სკოლის მასწავლებელი ქალები გვთხოვენ დავბეჭდოთ ანგარიში წარმოდგენისა, რომელიც გაიმართა 8 აპრილს 1905 წელს ზემოხსენებულ სკოლის სასარგებლოდ. ბილეთებიდან შემოვიდა სულ—314 მან. 30 კ. ხარჯი იყო—170 მ. 10 კ. სკოლის სასარგებლოდ დარჩა—144 მან. 20 კ. ამ შემოსავალში პრემია იყო—30 მან. 20 კ. შემდეგ პირებისაგან: კნ. მ. ვ. ორბელიანისა, კნ. თ. დ. გრუზინსკისა, ქნ. პ. კ. თუმანიშვილისა, კნ. არღუთაშვილისა, კნ. ბარათაშვილისა, ქ-ნ ეკ. სარაჯიშვილისა, ბ-ნი მელიქაზარიანცისა, პსაროვისა, დუდაძისა, სოფესტანსკისა, გოკებაშვილისა და ვირსალაძისაგან.

✦ კომისია გაბრიელ ეპისკ. სახელობის წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი გვთხოვს დავბეჭ-

ფელეტონი

ინგლისი

ახალი ზელანდია და მისი კონსტიტუცია.

ახალ ზელანდიის ნაპირები პირველად აბელ ტასმანმა აღმოაჩინა 1842 წ., მაგრამ ზედ კუნძულზედ გადასვლა-კი ვერ გაბედა, რადგან მკვიდრმა მცხოვრებლებმა, თუ ტასმანს დაუჯერეთ, არც ერთი ევროპიელი ხმელეთზედ არ გადაუშვეს. ჰოლანდიელნი არაფრად არ აგდებდნენ ამ ახლად აღმოჩენილ ქვეყანას, და 1769 წელს ცნობილი ზღვაოსანი კუკი მეორედ მიადგა ახალ ზელანდიის ნაპირებს და მეორედ აღმოაჩინა ერთხელ მივიწყებული კუნძულები. ეს მეორე ზღვაოსანი პირველზე უფრო ბედნიერი იყო, რადგან რამდენჯერმე შემოუარა კუნძულს, კარგად შეისწავლა მისი ნაპირები და ინგლისის ახალშენად გამოაცხადა. ცალიერ გამოცხადებას, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რადგან ინგლისის პროტექტორატს და ძალას ფაქტიურად კუკი ვერაფრით ვერ დაამტკიცებდა. ჯერ თითონ ავსტრალია არ იყო კარგად დასახლებული და ახალ ზელანდიაზე ხომ, სადაც მკვიდრ მცხოვრებლებს კაცის მჭამელისა და სასტიკ, დაუნდობელ ხალხის სახელი ჰქონდათ გავარდნილი, ცხოვრებას ვერავინა ბედავდა.

მიუხედავად ამისა 1325 წ. ინგლისში დაარსდა ამხანაგობა, რომელსაც ახალზელანდიის ადგილების შეძენა ჰქონდა აზრად. რა ფასით და როგორ შეიძენდნენ ველურ ხალხისაგან მადა გამოღვიძებული ახალშენელები ადგილ-მამულს, ამას თითონ მკითხველი ადვილად მიხვდება და ამიტომ ამ საგანზედ ლაპარაკს აღარ გავაჭიანურებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ 1840 წ. 26 მილიონი აკრი (აკრი ჩვენებურ დღიურს უდრის თითქმის) ადგილი იყო ამგვარად შეძენილი. თუმცა ზოგიერთები მთელის კუნძულის ნასყიდობასაც ამტკიცებდნენ.

ახალ-ზელანდიის დასახლება ძალიან ცუდად მიდიოდა, სანამ ედუარდ ვეკფილდმა არ დაიწყო ამ საგანზედ აგიტაცია. ვეკფილდმა მალე ძალიან ბევრი მომხრე შეიძინა და 1837 წ. „ახალ-ზელანდიის ასოციაცია“ დააარსა. ვეკფილდს უნდოდა როგორმე მთავრობაც ჩაეთრია ამ საქმეში, მაგრამ ინგლისის მმართველნი იმ ჟამად ახალშენების გამრავლების წინააღმდეგნი იყვნენ და ვეკფილდის მოღვაწეობას ძალიან გულგრილად უყურებდნენ. ბოლოს, ვეკფილდმა მთავრობის იმედი რომ დაჰკარგა, თავის ძმის წინამძღოლობით ექსპედიცია შეადგინა და ადგილების შესაძენად ახალ-ზელანდიაში გაისტუმრა. თუ ვეკფილდს დავუჯერეთ, ამ ექსპედიციამ 90,000 მანეთი დახარჯა და ოცი მილიონი აკრი ადგილი შეიძინა. მთავრობას ეს ნასყიდობა რომ კანონიერად ეცნო შემდეგში, თითქმის ათი თემი უმიწაწყლოდ დარჩებოდა. ინგლისში დარჩენილმა ვეკფილდმა ექსპედიციის მიერ გამოგზავნილ ცნობებს არც კი დაუცადა და 1839 წ. გადასახლების მსურველთა ერთი ჯგუფი გაისტუმრა კიდეც ახალ ზელანდიაში. ეს ჯგუფი 1840 წ. 22 იანვარს მივიდა ახალ ზელანდიაში და ამ რიგად ახალ ზელანდიის დასახლება დაიწყო.

მთავრობას ეხლა სხვა აღარა დარჩენოდა-რა, რომ ახალი-ზელანდია დიდ-ბრიტანიის ახალშენად გამოეცხადებინა და მომხდარი ფაქტი ოფიციალურად ეღიარებინა. მართლაც სულ ოთხი თვის შემდეგ ინგლისის მთავრობამ ახალი-ზელანდია დიდ-ბრიტანიის ახალშენად გამოაცხადა და ადგილობრივ საქმის დაბოლოვება კაპ. ხობსონს მიანდო.

ინგლისს ახალზელანდიის ძალით შეერთება არ სურდა, მას უნდოდა მკვიდრი მცხოვრებლების აზრიც გაეგო ამ საგნის შესახებ და ხობსონის ჩასვლისათანავე მოსალაპარაკებლად ჩრდილოეთ თემთა წარმომადგენელნი იქნენ მოწვეულნი. დიდის კამათისა და სჯა-ბაასის შემდეგ ხობსონმა და მაორების წინამძღოლებმა შემდეგი ხელშეკრულობა დასდეს:

1. ახალ-ზელანდიის სხვა და სხვა თემების წინამძღოლნი უმაღლესს უფლებებს და ხელმწიფებას ინგლისის დედოფალს შეუზღუდავად უთმობენ.

2. ახალ-ზელანდიის თემები და მათი წინამძღოლნი სრული მესაკუთრენი არიან ახალ-ზელანდიის მიწა-წყლისა და ტყეებისა და ინგლისის დედოფალი უზრუნველ ჰყოფს ამ საკუთრებას. თუ რომელმამე თემმა ან მისმა წინამძღოლმა ადგილ-მამულის გასყიდვა მოინდომა, იმის შეძენის უფლება დედოფალს უფრო აქვს, ვიდრე სხვა ვისმეს. მხოლოდ ფასის შესახებ ყოველ კერძო შემთხვევაში ცალკე უნდა შესთანხმდნენ ხოლმე ორთავე მხარე.

3. ინგლისის დედოფალი მკვიდრ მცხოვრებელთ ინგლისის ქვეშევრდომთა უფლებებსა და უპირატესობას ანიჭებს.

მაორებს ჩინებულად ესმოდათ, რომ ამ ხელშეკრულობით თუ არ იძენდნენ რამეს, დაკარგვით არასა ჰკარგავდნენ. ეს აზრი ნათლად წარმოსთქვა ერთმა მაორმა შემდეგში (პროფ. ჯენკსი) „დედოფალს აჩრდილი ხვდა წილად და არსებითი მხარე-კი ისევ ჩვენ შეგვრჩენიათო“.

მართლადაც, მოაწერა თუ არა ორთავე მხარემ ხელშეკრულობას ხელი (ამ ხელშეკრულობის გაიტანგის ტრაქტატი ჰქვიან), ხობსონმა თავის თანამემამულეებს გამოუცხადა, რომ ადგილ-მამული მაორების სრულ საკუთრებას შეადგენს და დღეის იქით, ვისაც მამულის შეძენის სურვილი ექნება, მთავრობას უნდა მიმართოს ხოლმეო.

ამ ხელშეკრულობამ და ხობსონის ბრძანებამ საშინლად გააშმაგა ახალ ზელანდიაში მცხოვრები ევროპიელნი და ახალშენების დასახლება შეაფერხა. დაიწყო მრავალი დავა და უსიამოვნება. ევროპიელნი ამტკიცებდნენ, რომ ადგილ-მამული დიდი ხანია შევიძინეთ და ამიტომ ჩვენს საკუთრებას არავის დავანებებთო. ინგლისის მთავრობამ გაიგო თუ არა, რაც ხდებოდა იმ ჟამად ახალ-ზელანდიაში, საქმის გამოსარკვევად კომისია დანიშნა, რომელმაც, მაგალითად, „ახალ-ზელანდიის ასოციაციას“ სადავო ოცი მილიონ აკრიდან თითქმის სამოცჯერ ნაკლები, სახელდობრ 383,000 აკრი ადგილი არგუნა. ასოციაციის შემდეგ ჯერი კერძო პირებზედაც მიდგა. საქმე იმდენად გამწვავდა, რომ ევროპიელებმა, ჩვენებურ თავად-აზნაურებსავით, მაორიის დაარბევაც-კი განიზრახეს, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო და ევროპიელებმა თავიანთ საწადელს ვერ მიაღწიეს.

რა სამართლიანი და პატიოსანი კაცი იყო ახალ-ზელანდიის პირველი მინისტრი, ხობსონი, ამას ცხადად ჰმოწმობს შემდეგი ფაქტი. როცა 1842 წ. ხობსონი გარდაიცვალა, მაორების ერთმა წინამძღოლმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ინგლისის დედოფალს: „ნუ გამოგვიგზავნი ახალ გაზრდა ან ამაყ კაცს, ნურც შფოთისა და უსიამოვნება მტრობის ჩამომგდებს გამოგვიგზავნი ხობსონის ნაცვლად. გამოგვიგზავნე ისეთივე გულკეთილი და პატიოსანი კაცი, როგორც იყო ახლად გარდაცვლებული გუბერნატორიო“. მაორების ასეთმა აზრმა ჩვენ უნდა გაგვაკვირვოს, რადგან ჩვენ არა ვართ ამხრივ გაზაზბულნი, თორემ ინგლისის ახალშენებში ამნაირი გუბერნატორი ჩვეულებრივი-კი არა, აუცილებელი მოვლენაა. ყოველ ადმინისტრატორის გამოცვლის შემდეგ ბავშვებსავით ოცნებას გავეტაცნებით ხოლმე—იქნება ღმერთმა ჰქნას და ეს მაინც გამოგვადგეს კარგი კაციო. გვავიწყდება, რომ პირთვნებას იქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სადაც თითონ მმართველ-გამგეობის სისტემაა დუხჭირი და სულის შემხუთავი. როგორ დაიჯეროს კაცმა, რომ მთელ ინგლისში ცუდი კაცი ერთიც არ მოიპოვებოდეს და ცუდის ადმინისტრატორის მაგალითს-კი ვერც ერთსა ვხედავთ, ვერც თვით მეტროპოლია-ინგლისში და ვერც მის ახალშენებში. ინგლისელ ადმინისტრატორის, ჩვენთვის გასაკვირველი, კეთილი თვისება ინგლისის კონსტიტუციით და ხალხის სუვერენიტეტით აიხსნება—საზოგადოდ ინგლისის მეფესაც და სხვა ადმინისტრატორებსაც კონსტიტუციის ძალით ყველა უფლება ჩამორთმეული აქვს, გარდა სიკეთის ჩადენის უფლებისა.

როგორც ზევით დავინახეთ, ახალი-ზელანდია 1840 წ. შეიერთა ინგლისმა და სულ ცამეტი წლის შემდეგ, სახელდობრ 1853 წ. სრული ავტონომია მიანიჭა (ავტონომია ორი ბერძნული სიტყვისაგან წარმოსდგება αὐτός—საკუთარი, თავისი და νόμος—კანონი). ამგვარ მაგალითებს ერთსა და ორს არ შევხვდებით, თუ ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკას გადავავლებთ თვალს. ინგლისმა თვით მართველობის უფლება მიანიჭა, მაგრამ რაკი უკონსტიტუციოთ ინგლისელს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ წარმოუდგენია, მაშინვე გუბერნატორს გრეის უბრძანა ადგილობრივ პირობებით და მცხოვრებლების სურვილით ესარგებლნა და კონსტიტუციის პროექტი შეედგინა.

1853 წლის კონსტიტუციით ახალი-ზელანდია ექვსის ოლქის ფედერაციას წარმოადგენდა, რომელთაც ერთი საზოგადო პარლამენტი ჰქონდათ. ყველა ოლქს თავისი აღმასრულებელი დაწესებულება და „საოლქო ერილობა“ ჰქონდა, რომელიც შინაურ, კულტურულ საქმეებს თითონ მოუძღოდა. მათ ებარათ სახაზინო ადგილების მმართველ-გამგეობა, სახალხო განათლება, პოლიცია, გზების გაყვანა, ნავთსადგურებისა და ხიდების აგება და სხ.

ლით: „გულითად მადლობას გუცხადებთ ჩვენ მიერ ამორჩეულ საპატიო წევრს ბ-ნ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს, რომელმაც გამოგვიგზავნა ოცი მანეთი წიგნ-საცავ-სამკითხველოსთვის“.

◆ ტფილისის სავაჭრო სკოლის საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა, ამა სასწავლო წლის მეორე ნახევარს სასწავლო ფული 40 მან. ნაცვლად 30 მან. გადაახდევინოს მოსწავლეთ; მომავალ წელს მოწავლენი 80 მან. ნაცვლად 70 მან. გადაიხდიან სასწავლო ფულს.

◆ სოფ. ანანაურში არსდება ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველ-გამსესხებელი კასები.

◆ ამ რამდენისამე დღის წინად მჭერხავ-ქარხნების პატრონებმა მოახდინეს კრება თავიანთ მუშების წინააღმდეგ და გადასწყვიტეს: რადგან მუშები ბევრსა თხოულობენ, ქარხნები დაკეტონ. ეს გადაწყვეტილება მართლაც სისრულეში მოიყვანეს. 30 მაისს თვითონ მუშები გამოვიდნენ სახელოსნოებიდან და მას აქეთ აღარ მუშაობენ. ეხლა ქარხნის პატრონები ეხვეწებიან, მაგრამ აღარ თანხმდებიან მუშები: თხოულობენ ხელ-ფასის მომატებას.

◆ 5 ივნისს, მამადავითში, ყიფიანის ქუჩაზე, ახმედოვის სახლში შემდეგი უბედურება მომხდარა: ამ სახლის ღია ფანჯარაში მჯდარა მდგმური, მკითხავი მეჩექმე მიხაკა. უცბად ძალიან დაუქუხნია და მეჩექმეს იქავ სული დაულევია.

◆ ვერაზე, კირპიჩნი ქუჩის თავზე, ბიძასთან მცხოვრები ზაქრო კაკილაშვილი (22 წლისა) ხელობით დურგალი ოცდაშვიდს მაისს დილით სახლიდან გასულა და დღესაც არსადა სჩანს, თუმცა დაეძებენ. გადაკარგვის მიზეზად სიყვარულს ასახელებენ.

◆ 1 ივნისიდან ტფილისსა და წყნეთს შუა ეტლების მიმოსვლა გაიმართა. ბარგით ერთი წასვლა წყნეთამდე 50 კაპ. ღირს. ლინეიკები ყოველ დღე დილის 7-დან 9 საათამდე ვარაზის ხევთან დგას. ერთს დღეს ასვლაც შეიძლება წყნეთში და უკანვე დაბრუნებაც.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

8 ივნისი

ქუთაისი. ქალაქის საბჭომ ერთხმად დაადგინა განუცხადოს ქართლ-კახეთის სამღვდელოებას ღრმა მწუხარება იმ ინციდენტის გამო, რომელიც სამღვდელოებას შეემთხვა 31 მაისს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთ შემდეგი ცნობები დაურიგდათ. კერძო თათბირზე გადაუწყვეტიათ და სავალდებულოდ გაუხდიათ ყველა ვაჭარ-მრეწველისთვის: ა) ვინც სამას მანათამდე წლიურს ქირას იხდის, დაუკლოს ყოველ მანათში თითო აბაზი; ბ) ვინც სამასიდან ათას მანათამდე—ექვსი შაური; გ) ვინც ათასზე მეტს იხდის ქირას, დაუკლოს მანათზე ორი აბაზი. ეს დადგენილება 1 ივნისიდან შედის ძალაში და ამ რიცხვიდანვე ყოველი ხელშეკრულობა და პირობა დამქირავებელ - გამქირავებელთა შორის უნდა გაუქმებულ იქმნას.

◆ გუშინ-წინდელ მომხდარ ინციდენტის გამო ქუთაისის ქალაქის თეატრი გუბერნატორის განკარგულებით დახურულ იქმნა ახალ განკარგულებამდე.

◆ ქალაქში სრული წეს-რიგია აღდგენილი ჯერ-ჯერობით. დიდი სიძვირე-კია ყოველ გვარ სანოვაგისა.

◆ მეეტლე, რომელიც გუშინწინ დასჭრეს საერთო გაფიცვის დროს, გარდაიცვალა თოფურიას საავადმყოფოში წუხელის.

◆ ი. მ. ნიქოვანი თითქმის სრულიად მორჩა.

◆ ამას წინად გწერდით, რომ ქუთაისის ხალგაზრდა მსახიობებმა ცალკე წრე შეადგინესა და თავიანთი პირობებიც დასწერეს-მეთქი. ეს პირობებიც იყო მოყვანილი ჩვენს გაზეთში. ვ. ს. მესხიშვილი არ დაუბულდა ამ პირობას და საქმე იქამდე მივიდა, რომ საჯაროდ გასარჩევი გახდა ამათ შორის მომხდარი დავა. დიდმა საზოგადოებამ მოიყარა თავი თეატრში ამ დავის გარჩევის დროს. სამწუხაროდ, ახალგაზრდა მსახიობთა და ვ. ს. მესხიშვილს შორის ისეთი კერძოობითი კამათი ასტყდა და ისეთი რამეები გამოხმაურდა, რაიც სრულიად არ იყო საჭირო, სრულიად არ შეეხებოდა საზოგადოებას, არ ეკუთვნოდა მის კომპეტენციას... ახლა რამდენიმე პირია არჩეული, რომელიც უნდა გაარჩიონ ეგ დავა და კინკლავი. თავიდანვე რომ ამ ზომისათვის მიემართათ ახალგაზრდა მსახიობთ და ვ. ს. მესხიშვილს—უმჯობესი იქნებოდა და საზოგადოების გრძნობას არ შეელახავდნენ უწმაწურის კამათით და უადგილო საბუთების წარმოდგენით.

◆ ქალაქ ქუთაისის უძრავს მამულებზე სახელმწიფო ბაჟის გამწესრიგებელ კომისიის ანგარიშით, ქუთაისის უძრავ მამულებზე გადასახადი შესდგა 17,165 მან. მამულები დაფასებულია 11.134.125 მან. ახალის წესით ბაჟისაგან განთავისუფლებულია: ა) მცირე ფასიანი მამულები, რომელთაც 25 კ. ნაკლები გადასახადი შეჰხვდებოდათ; ბ) ისეთი მამულები, რომელიც შემოსავალს არ იძლევა და ამათ პატრონთა რამე სამუდამო ხელობა არ უპყრავთ და სახსარი არა აქვთ ცხოვრებისა; გ) სახაზინო მამულები.

ტფ. თავ.-აზ. საგანგებო კრება

გუშინ, 8 ივნისს, თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ განაგრძო სხდომა. ამ დღეს უფრო მეტი ხალხი მოაწყდა, მაგრამ კრებაზე დასწრების ნება მიეცა, ისიც ბილეთებით, მხოლოდ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობას. სხდომის დაწყებისათანავე კრებამ მოისმინა ოქმები წინა კრებებისა.

როგორც აღნიშნული გვქონდა, 6 ივნისს კრება შესწყდა და თავად-აზნაურობამ დაადგინა, უკმაყოფილება გამოაცხადოს სამღვდელოების მიმართ ძალმომრეობის ხმარებისათვის. ოქმში, წაკითხვის დროს, ეს უკანასკნელი წინადადება არ აღმოჩნდა შეტანილი და თავ. ჯორჯაძემ მოითხოვა ოქმის შესწორება. ბევრმა თავად-აზნაურმა მხარი დაუჭირა თავ. ჯორჯაძეს, მაგრამ თავმჯდომარემ თავ. ორბელიანმა განაცხადა, ასეთ გადაწყვეტილების მიღება მეტად უხერხულად მიმაჩნია, ეს ჩვენი მარშლების შეცდომა იყო და უსათუოდ უკანვე უნდა წავიღოთო. ამრიგად კრებამ სამღვდელოებას მარტო თანაგრძნობა გამოუცხადა.

შემდეგ კრებამ განაგრძო კამათი იმის შესახებ, თუ რა ნაირად განეხორციელებინათ იმ თავად-აზნაურთა შემწეობის საქმე, რომელნიც წელს დაზარალდნენ და რომელთაც ბანკში ფულის შეტანა არ შეუძლიანთ. კრებამ დაადგინა, აარჩიონ განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, ვის რამდენი მიეცეს სესხად. საქმის გამორკვევის შემდეგ კომისია მოხსენებას წარუდგენს დეპუტატთა საკრებულოს და ეს უკანასკნელი დაურიგებს სესხს სემეურნეო თანხიდან. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ თითო მაზრიდან ორ-ორი კაცი. ტფ. მაზრიდან: თავ. დ. ა. სუმბათაშვილი და ვ. დ. ფულაშვილი; გორისა. ნ. ტ. ტარსაიძე და ნ. ა თუმანიშვილი, დუშეთისა: გ. დ. გაბაშვილი და ი. ი. კობიაშვილი; სიღნაღისა: ი. ანდრონიკაშვილი და ს. ვაჩნაძე; თელავისა: ს. რ. ვახვახიშვილი და ვ. ი. რცხილაძე და ბორჩალოსი: გ. ზ. შანშიევი და ნ. ი. საგინაშვილი. ამას გარდა კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ გუბერნიის მარშლის თავმჯდომარეობით მაზრის თავად-აზნაურთა მარშლები.

დანარჩენი დრო გუშინდელმა კრებამ მოანდომა გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილის განცხადების განხილვას. მან სთხოვა კრებას თავად-აზნაურთა სინდიკატისთვის სესხად მიეცა 30,000 მან. როგორც გამოირკვა, სინდიკატს, 12,000 მან. უკვე ჰქონია წაღებული. კრებამ კენჭი ჰყარა, მაგრამ 34 თეთრი ამოვიდა და 34 შავი კენჭი. ამ წინადადებას ხელ მეორედ უყრიან კენჭს.

ტფილისის ქალაქის საქმეები

7 ივნისს

ქალაქის საბჭოს კრების დაწყებისას ა. ბაბოვმა სთქვა: დაპირებულ რეფორმებს გვიგვიანებენ. ყოველს სფერაში შევიწროება და თვითნებობაა. მწერლობა შეხუთულია და არ შეიძლება თავისუფლად თავის აზრის გამოთქმა, საბჭოს კრებების ინგარიშების დაბეჭდვაც-კი. მცხოვრებთ ჯერ იციან ჩვენ, მათი არჩეულნი, რას ვაკეთებთ. კარგი იქნება, გამგეობამ დააჩქაროს საქმე საბჭოს საკუთარ ორგანოს დაარსების შესახებაო. ქალაქის მოურავის მოადგილე დაჰპირდა ამ საქმის დაჩქარებას.

გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილი იყო, ვითომ ვერის დაღმართზე ნიაღვრების დროს ერთს სახლის პატრონს ზარალი მოუვიდა ქალაქის თვითმმართველობის მიზეზითაო. ხმ. შაბუდაღოვმა ურჩია საბჭოს, კომისია აარჩიოს ამ ადგილის დასათვალიერებლად და ზარალის გამოსაკვლევად. საბჭომ ეს საქმე ქალაქის თავს დაავალა.

ხმ. გრიქუროვმა მოითხოვა ცნობები იმ ზარალის შესახებ, რომელიც ნიაღვრებმა მოუტანა ქალაქს. თავმჯდომარემ აცნობა, ჯერ არ არის ეგ საქმე გამოკვლეულიო.

ხმ. ხუდადოვმა უსაყვედურა გამგეობას: ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია, საჭირო ფულიც გადადებულია და აქამდე ლოტკის გორის ხიდის გაკეთებას არ შესდგომიხართო. გარდა ამისა ნაძალადევში ერთი უმთავრესი ქუჩაა, რომლის შეუკეთებლობის გამო აგრეთვე დიდი ზარალი აქვთ მცხოვრებთაო.

თავმჯდომარე: ლოტკის გორის ხიდის გაკეთებას მალე შევუდგებით, ხოლო რაც შეეხება ხმოსნის შენიშვნას, რომ ფული გვქონდეს და საქმე არ კეთდებოდეს, ეს სიმართლეს მოკლებულია, რადგან ფული არ შემოდისო.

თავმჯდომარემ შემდეგ აცნობა საბჭოს ყასბებისა და სალახ-მესაქონლეების გაფიცვის ამბავი. პირველი მუხლი მოთხოვნილებათა შეეხება ქირების დაკლებას. ეს საქმე ჩვენ არ შეგვეხებაო, სთქვამ თავმჯდომარემ. გუბერნატორთან გვქონდა საუბარი და, იმის აზრით, კარგი იქნება არჩეულ იქნეს მუდმივი სამედიატორო სასამართლო, რომელიც ვაჭრებსა და სახლის პატრონებს შორის ყოველსავე უთანხმოებას მოსპობსო. შემდეგ გაფიცულნი ითხოვენ ფულის დაკლებას საყასბოში პირუტყვის დაკვლისათვის. სხვილ-ფეხა საკლავების დაკვლისათვის ქალაქი ახდევინებს 75 კაპ., ცხვრისა—10 კ. და სხვ. თავმჯდომარემ განაცხადა, ქალაქს საზოგადო საქმეებისათვის ამისთანა წყაროები აქვს და ესეც რომ შეამციროს, საქმეს როგორ-ღა გაუძლებს. ამას გარდა ეს გადასახადი არ არის დიდი. გარდა ბაქოსი არც ერთს ქალაქში ასე ცოტა გადასახადი არ არის დაწესებული. მიზეზი საქონლის სიძვირისა არის ის გარემოება, რომლის მოსპობასაც მეათხე მუხლში ითხოვენ ყასბები. მართლაც, მეტად აძვირებს საქონელს ეხლანდელი წესი საკლავ საქონლის მოდენისა. თუ არ რკინის გზით, შეუძლებელია საქონლის მორეკა. რკინის გზით კი მეტად ილახება საკლავი, ამასთან ბევრი ფული უნდება. გამგეობის აზრით უნდა აღძრეს შუამდგომლობა ამ წესის გაუქმების შესახებ. ყასბები ითხოვენ აგრეთვე, რომ გაუქმებულ იქმნეს დაზღვევა დასაკლავ საქონლისა და სხ. ორს საათზე მეტი მოანდომა საბჭომ კამათს. დასასრულ დაადგინა, უარ-ჰყოს ყასბების მოთხოვნა გადასახადის დაკლებისა და დაზღვევის გაუქმების შესახებ. რაც შეეხება საქონლის მოდენის წესს, საბჭომ დაავალა მოურავს, შუამდგომლობა აღძრას კავკასიის ნამესტნიკის წინაშე. გაყიდულ სისხლში აღებული ფული, საბჭოს დადგენილებით, უნდა მოხმარდეს სალახების მდგომარეობის გაუმჯობესებას. დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებ მოხსენების წარდგენა ნამესტნიკთან დაევალა აგრეთვე ქალაქის მოურავის მოადგილეს. ხოლო საძოვარ ადგილებით სარგებლობის საქმის მოწესრიგება ქალაქის ადგილების მეთვალყურე კომისიას დაევალა.

ქალაქის თავმა ვერმიშევმა მოსწერა ტფილისის საბჭოს, 15 ივნის, მოსკოვში ქალაქის საბჭოების წარმომადგენელთა კრება გაიმართება ზოგიერთ საზოგადო საკითხების განსახილველად. მე მიმიწვიეს და ორი ხმოსანიც უნდა ამოირჩიოთ და გამოგზავნოთო. საბჭომ საკმარისად სცნო აღნიშნულ კრებებზედ ქალაქის თავის დასწრება და ხმოსნები არ აარჩია.

რუსეთის ქრონიკა

სამსახურის თავი დანებება. ხმა დადის, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გრაფი სოლსკი, იუსტიციის მინისტრი მანუხინი, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი კაზლოვი და გუბერნატორი კრისტი ამ მოკლე ხანში თავიანთ თანამდებობას თავს ანებებენო. („ნ. ჟ.“).

ადმირალი როჟესტვენსკი, რომელსაც ექიმებმა მარჯვენა ხელი და ფეხი მოსჭრეს, ამ ჟამად რჩება.

ადმირალი ნებოგატოვი, ტყვეობაში მყოფი, თავის მოკვლას აპირებდა. ტყვია ხელში მოხვდა და გონება დაკარგული გოსპიტალში გადაიყვანეს. იმას ჭკუაზე შეცდომის ნიშნები ეტყობა.

სამინისტროების ახალი რეფორმები. გაზ. „ბ. ვ.“ აცნობებენ, რომ მოკლე ხანში აწ არსებულ სამინისტროებში შემდეგ ცვლილებებს მოელიან: ალექსანდრე პირველის ინჟენერთა ინსტიტუტი გადავა საერო განათლების სამინისტროს უწყებაში, ისე, როგორც სამთო ინსტიტუტი. ყველა გზა-ტკეცილებსა და წყალში მიმოსვლის საქმეები გადაეცემა საგუბერნიო ერობას, გზათა სამინისტროს ხელში დარჩება მხოლოდ არხებისა და სხ. საქმე. მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საშუალო და დაბალი სასწავლებლები დაექვემდებარებიან ახალ სამიწათ-მოქმედო უმაღლეს სამმართველოს. აქედან მხოლოდ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (პეტროვო-რაზუმოვის აკადემია) დარჩება ფინანსთა სამინისტროს ხელში.

კუნძულ სახალინის გაყიდვა. გაზეთები დაბეჯითებით ამბობენ, რომ რუსეთის მთავრობას განუზრახავს სახალინის გაყიდვა, რომლის შესახებაც საქმე უკვე აღძრულია. კუნძულის ყიდვის სურვილს აცხადებენ ამერიკელები, რომელთაც ოთხმოცი მილიონი დოლარი შეუძლევიათ. შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკი ალექსეევი დიდი წინააღმდეგია ამისა იმ მოსაზრებით, რომ კუნძულის გაყიდვით რუსეთი ბევრ სხვა რამეებსაც დაჰკარგავს და ამას არა სასურველი შედეგი მოჰყვებაო.

სექტანტების განთავისუფლება. იაკუტსკში მიუღიათ განკარგულება, რომლის ძალითაც ყველა იქ გაგზავნილი სექტანტები განთავისუფლებულ იქმნებიან პოლიციის ზედამხედველობისაგან. 1895 წლის კანონის ძალით იქ ჰგზავნიდნენ ისეთ პირთ, რომელნიც თავიანთ სარწმუნოების მიხედვით სამხედრო სამსახურის უარის მყოფელნი იყვნენ. უკანასკნელ 9 წლის განმავლობაში, გაზეთების სიტყვით, კავკასიიდან იქ 100 დუხობორი ყოფილა გაგზავნილი, ზოგი 18 წლით და ზოგი უვადოდ. შემდეგში კიდევ გაუგზავნიათ 4 იეგოვისტთა სექტის მიმდევარი, ცნობილის პოლკოვნიკის ილინის სექტისა, 3 ტოლსტოის მიმდევარი და ერთიც შარშან—კავკასიელი ინტელიგენტი.

მუშათა კრებები ფინლიანდიაში. „ნ. ვრ.“ ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: წარსულ კვირას თითქმის ყველა ქალაქში მუშა ხალხის დიდძალმა რიცხვმა ერთსა და იმავე დროს მოახდინა ყრილობები და გამართა მანიფესტაციები. მუშები თხოულობდნენ საზოგადოების ამორჩეულ პირთ მაგარ სასმელების ვაჭრობის მოსპობის უფლება მიეცეთო. განსაკუთრებით დიდი მანიფესტაცია მოხდა ჰელსინგფორსში: დილის 10 საათიდან იწყეს დენა მუშათა 61 კავშირის წარმომადგენლებმა. რკინის გზის მოედანზედ თავ-თავიანთ ნიშნებით თავი მოიყარა 15—20 ათასმა კაცმა. ამათ მიემატა ცნობის მოყვარე ხალხი და 25—30 ათასი კაცისაგან შემდგარი კრება დაიძრა, ხელში დიდრონ წითელის ბაირაღებით. ტალბაკენის ბუფეტში მზად იყო ჩაი, ყავა, 15 ათასამდე ბუტერბროდი და რამდენიმე ათასი ლიტრა რძე, რომელიც უკანასკნელ ლუკმამდე და წვეთამდე შეჭამა და დალია ამოდენა ხალხმა. აქ სხვა და სხვა მხრიდან მოისმოდა სიმღერებისა და მუსიკის ხმა. მანიფესტანტები თხოულობდნენ საზოგადო, თანასწორ და პირდაპირ ხმის უფლებას. ვიბორგში გამართულ მანიფესტაციას დაესწრო 7—8 ათასი კაცი. აბოში მომხდარ მანიფესტაციაში მუშათა 28 კავშირი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ იმათი რიცხვი 2 ათასს სულს არ აღემატებოდა. ტემერფორსში მშვენიერმა ამინდმა აუარებელი ხალხი მიიზიდა დიდ მოედანზედ. ყველგან ერთისა და იმავე ხასიათისა იყო მანიფესტაციები და ერთი და იგივე სიტყვები იქნა წარმოთქმული.

არეულობა ვარშავაში. 31 მაისს ქუჩებში არეულობა მოხდა. მსხვერპლი ბლომადაა. („რუს.“).

პოლიციელის თავგასულობა. ელიზავეტგრადში რამდენიმე შტუნდისტი სამართალში მისცეს ლოცვის წესის შესრულებისთვის. საქმის გარჩევის დროს თავის გასამართლებლად დამნაშავეებს უნდოდათ 17 აპრილის ბრძანება დაემოწმებინათ, მაგრამ უფროსმა ხარაჯანმა ამისი ნება არ მისცა და განაცხადა, მე ეგ ბრძანება ოფიციალურად ჯერ არ მიმიღიაო.

სასტიკი ცენზურა. პოლტავაში ცენზორს, სხვათა შორის, აუკრძალავს გაზ. „პოლტავშჩინა“-სთვის საერო განათლების მინისტრის ცირკულიარის დაბეჭდვა.

მუშების ყრილობა. 30 მაისს პეტერბურგში საღამოს, 6 საათზე მოხდა ბალტიის ქარხნის მუშების კრება. შეიკრიბა 6,000 კაცი. ქუჩა მთლად სავსე იყო ხალხით. კრებაზე ბჭობდნენ ფლოტის დაღუპვასა ცუსიმას კუნძულთან, წარმომადგენელთა მოწვევასა და სხვაზე. მუშებმა ის

საზოგადო ხასიათის საკითხებს-კი ახალ-ზელანდიის პარლამენტი სწყვეტდა მაგ. სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონების გამოცემა, სადამოჟნო პოლიტიკა და სხ.

ოლქების უფლებაც და ყოველ მათგანის ავტონომიური მმართველ-გამგეობა პირველად, როცა ჯერ გაყვანილი არ იყო გზები და ოლქები მჭიდროდ არ იყვნენ დასახლებულნი, ხელსაყრელი და სასურველი იყო, მაგრამ მერე კი, როცა გზებიც გაიყვანეს, მოსახლეობაც უფრო გაფართოვდა და რაც უფრო საგულისხმეროა, გამრავლდა ისეთ დაწესებულებათა რიცხვი, რომელიც კულტურულ მოღვაწეობა-მუშაობის ერთ-ერთ მხარეს უძღოდა, მაგ., სახალხო განათლება, გზების თვალ-ყურის გდება და სხ. „საოლქო ყრილობანი“ საჭირო აღარ იყო ეხლა თავისუფლად შეიძლებოდა ერთ პარლამენტს განეგო ქვეყნის საქმე, მხოლოდ სხვა და სხვა მიზნისათვის დაარსებული დაწესებულებანი კი დარჩენილიყო. მართლაც 1875 წ. ახალ-ზელანდიის პარლამენტმა „საოლქო ყრილობანი“ გააუქმა, თუმცა შინაურ კულტურულ მუშაობაში არც ერთ ოლქს ხელს არ უშლიდა.

ამის შემდეგ დაიწყო პარლამენტში სხვა და სხვა პარტიათა ბრძოლა, რომლის განხილვას ჩვენ არ შევუდგებით, მხოლოდ ამ ბრძოლის ზოგიერთ შედეგს კი მოკლედ აღვნუსხავთ.

1879 წელს ახალ-ზელანდიის პარლამენტმა არჩევნები საერთო და ყველასათვის თანასწორი გახადა (გააუქმა უფლებრივი ცენზი) და ამით ბევრით გაუსწრო თავის მეტროპოლიას—ინგლისს. იმავე წელს გადაწყდა, რომ წარმომადგენელი სამის წლით უნდა იქმნას არჩეული, (ინგლისში შვიდის წლით); 1893 წ. არჩევნების უფლება სრულ-წლოვან ქალებსაც მიენიჭათ, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა, ასე რომ არჩევნების უფლებით მაორის ქალებიც სარგებლობენ ამ ჟამად.

ახალშენს ჰყავს გუბერნატორი, რომელიც ახალშენის წარმომადგენელია მხოლოდ. იგი მინისტრების „რჩევით“ პარლამენტს ითხოვს ან იწვევს. იმ სიტყვის ნაცვლად, რომლითაც მეფე (ან სხვა ვინმე იმის სახელით) პარლამენტს გახსნის ხოლმე ინგლისში, ახალ-ზელანდიაში გუბერნატორი წერილობით მიჰმართავს ხოლმე პარლამენტსა თუ სამინისტროსა ჰსურს, დამნაშავეთ დანაშაულს აპატიებს გუბერნატორი და სხვ. გუბერნატორმა ყოველ კანონ-პროექტს ხელი უნდა მოაწეროს, თორემ ორთავე პალატის მიერაც რომ იყოს იგი მიღებული, ძალას მაინც ვერ მოიპოვებს. ზოგიერთ შემთხვევაში, თუ ახალ ზომას ან კანონ-პროექტს განსაკუთრებული ხასიათი და მნიშვნელობა აქვს, გუბერნატორს შეუძლიან დასამტკიცებლად ინგლისის მეფეს გაუგზავნოს, 1892 წლამდის ყოველ გუბერნატორს ცალკე ინსტრუქცია ეძლეოდა, ამ წლიდან კი ინგლისის ყველა ავტონომიურ ახალ-შენების გუბერნატორებისათვის ერთი ინსტრუქცია გამოიცა. ამ ინსტრუქციაში ღირსშესანიშნავი ის არის, რომ ზოგიერთ შემთხვევებში გუბერნატორს უფლება აღარა აქვს პარლამენტის გადაწყვეტილებას ხელი მოაწეროს და მით უკანასკნელი სანქცია მისცეს მას. დავასახელოთ მხოლოდ ორი შემთხვევა:

1. ყოველი გადაწყვეტილება გუბერნატორისათვის რაიმე საჩუქრის, ჯილდოს დანიშვნის შესახებ.

2. ყოველი გადაწყვეტილება, რომელიც საერთაშორისო ხელ-შეკრულობის ძალით ინგლისის მიერ მიღებულ მოვალეობას ეწინააღმდეგება და სხ.

ამნაირი შემთხვევა შვიდია ინსტრუქციაში ჩამოთვლილი, მაგრამ ყველაზე მაღლა კი მეორე პუნქტია დაყენებული. ამ შვიდის შემთხვევის გარდა დანარჩენებში გუბერნატორი მოვალეა ხელი მოაწეროს ყოველ კანონ-პროექტს, თუკი ორთავე პალატის მიერ იქნება იგი მიღებული.

ადგილობრივ პარლამენტს არა თუ გუბერნატორი, ხშირად თვით მეტროპოლიაც ვერ გაუბედავს ხოლმე წინააღმდეგობის გაწევას.

ავსტრალიის ახალშენებმა რომ ჩინელების შემოხიზვნა აკრძალეს და ჩინეთის მთავრობამ მოაგონა ინგლისს, ახალშენების გადაწყვეტილება ჩვენ შორის დადებულ ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებაო, მეტროპოლიის მთავრობამ ავსტრალიის ახალშენებს მისწერა: თქვენი გადაწყვეტილება ჩინელების შესახებ დაუყოვნებლივ გაუქმებულ უნდა იქნასო. ამ საკითხის გადასაწყვეტად ახალშენთა წარმომადგენლების კონფერენცია დაინიშნა, რომელმაც გადაჭრით გამოაცხადა, რომ ახალშენები თავის გადაწყვეტილებას არასგზით არ გადაუხვევენო. სამხრეთ გალისის პირველმა მინისტრმა, ჰენრი პარკსმა, სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენ გადაწყვეტილებას ვერავითარი ძალა ვერ გადაგვახვევინებს—ვერც მისი უდიდებულესობის სამხედრო გემები, ვერც მისი წარმომადგენელი ახალშენებში (გუბერნატორი) და ვერც ინგლისის ახალშენთა მინისტრიო“. ახალშენთა უფროსმა მინისტრმა სოლსბერიმ გაჩუმება არჩია და ძალადობაზე და რიხიან ბრძანებაზე უარი სთქვა.

როგორც ვხედავთ, ახალშენების გუბერნატორი თავის უფლებებით ინგლისის მეფის ასლია. აღმასრულებელი ძალა „აღმასრულებელ საბჭოსა“ აქვს ჩაბარებული, რომელიც ინგლისის მინისტრთა კაბინეტს უდრის და ქვეყნის საქმეებს კი პარლამენტი განაგებს, რომელიც, თავის რიგით, ორის პალატისაგან შესდგება: „საკანონმდებლო საბჭო“ და „წარმომადგენელთა პალატა“. საკანონმდებლო საბჭოს წევრებს 1891 წლამდის სამუდამოდ ნიშნავდა გუბერნატორი და ამ წლიდან კი მხოლოდ შვიდის წლის ვადით; „საბჭოს“ წევრობა მხოლოდ ბრიტანიის ქვეშევრდომს შეუძლიან; არ შეუძლიან წევრობა მოხელეს და სახაზინო იჯარადარს, თუ იჯარის ფასი ხუთას მანეთზე ნაკლები არ არის. ყოველ წევრს წელიწადში ორი ათასი მანეთი აქვს ჯამაგირად, გარდა ამისა ველინგტონში ჩასვლისა და დაბრუნების ხარჯიც შეუძლიან ინაზღაუროს. სამინისტროს უფლება აქვს, რამდენიც უნდა, იმდენი ახალი წევრი დანიშნოს საბჭოში. ერთხელ წარმომადგენლების პალატის მიერ ერთ ხმად მიღებულს კანონ-პროექტზე რომ „საკანონმდებლო საბჭოს“ უმეტესობა არ დასთანხმდა, სამინისტრომ ქვედა პალატის, თორმეტ ლიბერალის პერებად გახდენა განიძრახა, მაგრამ გუბერნატორი არ დასთანხმდა ამ ზომას. მაშინდელი გუბერნატორი მაინც მალე უნდა წასულიყო და სამინისტრომ ამ ზომის განხორციელება სხვა დროისთვის გადასდო. როცა მეორე გუბერნატორიც არ დასთანხმდა, მმართველნი იძულებულნი იყვნენ მეტროპოლიისთვის მიემართნათ. ახალშენთა მინისტრმა სამინისტროს მხარე დაიჭირა და თორმეტი დეპუტატი პერებად გახდნეს. მკითხველს გაუკვირდება, რად იყვნენ გუბერნატორები ამ შეთხვევაში ასე ჯიუტებიო. საქმე იმაშია, რომ ამ თორმეტ დეპუტატში ოთხი მუშა იყო. ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში არა ყოფილიყო იმის მაგალითი, რომ პერებად მუშები გაეხადნათ და გუბერნატორებიც ვერა ჰბედავდნენ ასეთ რადიკალურ რეფორმის მოხდენას. მეტი არ იქნება აქვე გსთქვათ, რომ პერებს შორის ახალ-ზელანდიაში მაორების წარმომადგენელიც არიან მუდამ. მაორებს ქვედა, წარმომადგენელთა პალატაშიაც ჰყავთ თავიანთი წარმომადგენელი.

არჩევნები ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება და არჩეულად ყველა მამა კაცი შეიძლება იქნეს, ოღონდ სახელმწიფო სამსახურში ნუ იქნება და სახაზინო იჯარა ნუ ექნება აღებული. პალატის წევრებსაც ორი ათასი მანათი აქვთ წელიწადში ჯამაგირად. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც გაუსწრო ახალ-ზელანდიამ თავის მეტროპოლიას. როგორც წინა წერილებიდან დავინახეთ, საზოგადოებათა პალატის წევრებს ინგლისში არავითარი სასყიდელი არ ეძლევათ. და არჩევნებზე კი დიდ-ძალი ფული ეხარჯებათ. ამის წყალობით ქვედა პალატა (ლორდების პალატაზე ლაპარაკი აღარ არის საჭირო) მდიდრებისაგან შესდგება და დემოკრატიული ელემენტი კანტი-კუნტად თუ მოხვდება ხოლმე.

1893 წლიდან არჩევნების უფლება ყველა სრულ წლოვანს ეძლევა, განურჩევლად სქესისა, მხოლოდ ერთის პირობით-კი, რომ ამომრჩეველს წელიწადზედ ნაკლები არ უნდა ეცხოვროს ახალშენში. არჩეულად-კი მხოლოდ ინგლისის ქვეშევრდომი შეიძლება იქნას. ქვეშევრდომობის მიღებისათვის სურვილის გამოცხადების მეტი არაფერი არ არის საჭირო—არც ვადა და არც სხვარაიმე პირობა. ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში 1202 გერმანელმა, 750 შვედმა, 157 რუსმა და სხვებმა მიიღეს ინგლისის ქვეშევრდომობა.

ბევრი არ მოიპოვება ისეთი ქვეყანა, სადაც ქალებს პოლიტიკური უფლებები ჰქონდეთ მინიჭებული. მთელ ევროპაში ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ გაჰბედა და ასეთი რეფორმა ვერ მოახდინა, პირველად ამ რეფორმის შემოღება ახალ-ზელანდიამა სცადა და როცა ავსტრალიის ახალშენებმა დაინახეს, რომ ამით ქვეყანა არ დაიქცა, თითონაც მოახდინეს ამგვარივე რეფორმა. დღეს ახალ-ზელანდიის გარდა პოლიტიკური უფლებები ქალებს ავსტრალიის სამ ახალშენში (ვიქტორია, ჩრდილოეთი და დასავლეთი ავსტრალია) და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ოთხ შტატში (კოლორადო, უტა, ვაიომინი და აიდაგო) აქვთ მინიჭებული.

ი. პ—ვი.

აზრი გამოსთქვეს, რომ ომი უნდა მოისპოს და დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნან ხალხის წარმომადგენელნი. კრებას დაესწრო პოლიციელი, რომელმაც მხოლოდ ფოტოგრაფიული სურათები გადაიღო ორატორებისა.

შაქრის, თამბაქოს და ნავთის ბაჟის მომატება. ფინანსთა სამინისტროს გადაუწყვეტია შაქრის, თამბაქოს და ნავთის ბაჟის გადიდება. ფიქრობენ აგრეთვე ბაჟი დაადონ ნავთის სხვა და სხვა ზეთს, რაიცა აქნობამდე არა ყოფილა.

გლეხების მოძრაობა მოგილევ-პოდოლსკში. მოგილევ-პოდოლსკიდან „ს. ზ. კრაი“-ს ატყობინებენ, რომ სააგრარო მოძრაობა მაზრაში ძლიერდება. უთანხმოება ეხლა დაიწყო იქაურ მსხვილ მემამულეთა და გლეხთა შორის. გუბერნატორიც წავიდა. („რ.“).

ყაზახ-რუსთა თავგასულობა. „ს. ზ. კრაი“ სწერს: ადგილობრივი მცხოვრებნი ძალიან შეწუხებულნი არიან ყაზახ-რუსების თავგასულობით პოლონეთის და დასავლეთ გუბერნიების ქალაქებსა და დაბებში. ლაპარაკობენ, რომ საჭიროა ყაზახ-რუსთა ახალთაობა აიზარდოს სხვა ნიადაგზე, საჭიროა აღადგინონ მათ შორის ძველი რაინდობა.

წრეს გადასული სიფრთხილე. ვარშავის პოლიციამ სახლის პატრონთ დაავალა დღე და ღამე სასტიკი თვალყური ადევნონ სახლის ჩარდახებს. ჩარდახები მუდამ დაკეტილი უნდა იყოს. ვინც კი მდგმურთაგანი ჩარდახზე ასვლას მოინდომებს, უნდა მეეზოვე გაჰყვეს. ჩარდახებიდან უნდა ჩამოიტანონ მდგმურების ნივთები და, საზოგადოდ, ყველაფერი, რაც კი ხელს შეუშლის პოლიციას ჩარდახის სწრაფად დათვალიერებაში, თუ ვინიცობაა ეჭვი მიიტანეს, რომ ჩარდახში თოფ-იარაღი და ყუმბარები ინახება, ან იქ ნებადაურთველი ყრილობა ხდება. („ნ.“).

ახალი უფლება შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგისა. აზრადა აქვთ დააარსონ განსაკუთრებული კანცელარია შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ტრეპოვისათვის. ამ კანცელარიაში თავს მოუყრიან უმთავრეს საქმეებს და აგრეთვე იმ საქმეებს, რომელიც ეხება სახელმწიფო წესწყობილების დარღვევას. პოლიციის დეპარტამენტს ახალი შტატები მიემატება („რ.“).

გლეხთა მოძრაობა. „რუს. სლოვოს“ ელისავეტგრადიდან დეპეშით ატყობინებენ: ს. კოსოგოროვკაში გლეხებმა ადგილობრივ მემამულის ჩერნიავსკის სახლს თოფი დაუშინეს. არავინ დაშავებულა. საქმის გამოსაძიებლად გაემგზავრნენ მოსამართლე და გამომძიებელი.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ღია წერილი ბ-ნ ბენია ჩხიკვიშვილს.

ბატონო ბენია ჩხიკვიშვილო! დაწვრილებით გავიგეთ, რაგვარათ დაგიხატავს თქვენ ბათუმის საჯარო კრებაზე, 26 მაისს, ფოთის მუშათა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, ესე იგი, ვითომ ჩვენ, ერთის ავტონომისტის ჩაგონებით, გვსურდეს გურულ მუშების განდევნა ფოთიდან, მაშინ, როდესაც ამის მსგავსი არაფერი ყოფილა. ჩვენსა და გურულ მუშებს შორის უთანხმოება სამუშაოს განწეს-რიგების შესახებ კაი ხანია სუფევს ფოთში, მაგრამ უკანასკნელ სამ-ოთხი თვის განმავლობაში ნამეტნავად გამწვავდა.

ამ წლის იანვრის საერთო გაფიცვის შემდეგ, გურულმა მუშებმა დაისაკუთრეს ორივე ნავოსნობის სამუშაო და ჩვენ, 300-მდე მეგრელ-იმერელს, უარი გვითხრეს მაშინ, როდესაც რამდენიმე ასი კაცი ახალი მუშა გურული მიიღეს და შეავსეს კომპლექტი. თებერვალში ჩვენ წარვუდგინეთ ჩვენი მოთხოვნა. ვთხოულობდით, რომ სამუშაო საერთოთ არჩეულ კომისიის მიერ ფოთის მუშათა შორის განურჩევლად ეროვნებისა, თანასწორის უფლებით განწეს-რიგებულიყო. ამ მოთხოვნას იმათ ყური არ ათხოვეს და პასუხად მუქარა შემოგვითვალეს; ხოლო როდესაც ჩვენი არჩეული მუშები მივიდნენ გურულ მუშებთან და ეგევე მოციქულობა გადასცეს, ერთმა არა-მუშა წარმომადგენელმა არ დააცალა ჩვენს მოციქულებს მათ ამხანაგებთან მოლაპარაკება და ლანძღვით გამოისტუმრა. ჩვენ სულითა და გულით მოწადინებულნი ვიყავით, ეს შინაური დავა შინაურულად და ძმურის ანგარიშის მოსმენით მოგვეგვარებინა და ძმებადვე დავრჩენილვიყავით, მაგრამ როდესაც ჩვენ 16 მაისს მოვითხოვეთ, სამედიატორო სამართალში გადავეცეთ საქმე, იმათ პოლიცია მოიწვიეს, წარუდგინეს რაღაც „კანდრახტი“, მოითხოვეს დაგვიცვევით ჩვენი „უფლება“ და ამითი დაინარჩუნეს სამუშაო „კანდრახტი“-ს ვადის შესრულებამდე. ჩვენ, მიუხედავად ამისა, მაინც არ გვსურდა ამ საქმის გამოქვეყნება არც პრესსაში და არც ყრილობებზე. არ გვსურდა იმიტომ კი არა, რომ ჩვენი სიმართლე საეჭვო ყოფილიყოს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენთვის სრულიად არ იყო სასურველი ჩვენის ძმის უმართლო მოქმედება საჯაროდ გამოგვექვეყნებინა, მით უმეტეს, რომ გურული მუშები იმდენად უმართლოდ არ გვექცევიან, რამდენადაც მათი მოთავე არა-მუშა წარმომადგენლები. თურმე ეს ჩვენი ზრდილობიანი გაჩუმება ჩვენთვისვე გამოდგა მავნებელი და თქვენ ჩვენი მთხოვნილება გადაამახინჯეთ და უკუღმართად გააცანით ბათუმის საჯარო კრებას. არა ნაკლებ სამწუხაროა ჩვენთვის, რომ ჩვენის საქმის ყალბად ხელზე დახვევით ებრძვით თქვენგან დაწუნებულს ავტონომიურს მიმართულებას საზოგადოდ და ერთ ავტონომისტს კერძოთ. გთხოვთ ჩვენთვის თავს ნუ იწუხებთ, რადგან ჩვენთვის მიმართულების არჩევა ჩვენი საქმეა.

ჩვენთვის არავის არ აუხსნია მეგრელობა და გურულობა ისე, როგორც თქვენ გიბრძანებიათ. ყველა, ვინც ჩვენის მხრით ჩაერია ამ საქმეში. იღებს დამამშვიდებელ ზომებს და გვიხსნის, რომ: მეგრელი, გურული და იმერელი ყველანი ქართველები ვართ, საერთო ინტერესი გვაქვს და რაც შეეხება სადავო სამუშაოს, ამაში თანასწორადა ეკუთვნის ყველა ფოთის მუშებს მიუხედავად ეროვნებისა. *) მედგრად მოვითხოვთ თქვენგან, ბატონო ბენია ჩხიკვიშვილო, აგვიხსნათ გაზეთის საშუალებით, რად დაგჭირდათ მეგრელ მუშების წინააღმდეგ ასეთის ცილის წამების გამოქვეყნება საჯარო კრებაზედ. ამასთან წინადადებას გაძლევთ მოგვყვეთ ამ საქმეზედ ზნეობრივ სამართალში.

დავშთებით ფოთის 300 მუშის რწმუნებულები.

ამიკო მელაძე, გ. ცომაია, ეგნატე გაბილაია, ალექსანდრე მაღლაფერიძე, სანდრო მელაძე, კოწია მელაძე, ტრიფონ სიგუა, ფარნაოზ ცოკოლიძე, ნესტორ ფარღალავა, პეტრე შარტავა, ევგენი ხარგელია, ექვთიმე მეფურიძე, პავლე რორვა, პილატე დიხუზია, ლევარსა ხარბედია, აპ. გუწავა, გირგორი ხოშტალავა, იაკობ ესებუა, მ. დოქაია, ა. ბზიავა, ანდრია თოფურია, დ. ჭურღულია, ი. უზამეიშვილი, ა. კეკელია, გერასიმე შურღაია, აკაკი ლოლუა, ლავრენტი ხარბედია, გ. ბურდღაია, მ. სიგუა, თ. ურიდია.

—

რედაქციისაგან. ამ საქმის შესახებ ჩვენ მივიღეთ კიდევ ორი წერილი. ერთი კაპიტონ მეუნარგიასა და მეორე ბენია ჩხიკვიშვილისაგან. ბ-ნი მეუნარგია აცხადებს პროტესტს ბ-ნ ჩხიკვიშვილის მიერ წამოყენებულ ბრალდების წინააღმდეგ და იწვევს უკანასკნელს სამედიატორო სამართალში.

ბ-ნი ჩხიკვიშვილი თავის წერილში (რომელიც სავსეა ლანძღვა-გინებით) იმეორებს თავის ბრალდებას, არ ასახელებს იმ პირს, რომელმაც ჩამოაგდო უთანხმოება ფოთის მუშებს შორის, ხოლო წინადადებას აძლევს ბ-ნ სახოკიას, გამოდით სამედიატორო სამართალში ყველაფრის გამოსამჟღავნებლადო.

რამდენადაც ვიცით, ბ-ნი სახოკია ისეთონაც მოწადინებულია ასეთს სამართალს (იმედია, ამას საჯაროთაც გამოაცხადებს გაზეთის შემწეობით) და ეჭვი არ არის, რომ სამედიატორო სამართალი დანამდვილებით და დაწვრილებით გამოიკვლევს ფოთში მომხდარ ამბებს და სამართლიან მსჯავრს დასდებს სამწუხარო მოვლენის ამტეხებს. ეს საზოგადო საქმეა, და არ შეეხება მარტო ბ-ნთ სახოკიას და ჩხიკვიშვილს.

II

ღია წერილი ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების რწმუნებულთა კომისიას.

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მე-2837 ნომერში ახალ ამბავთა შორის დაბეჭდილია, ვითომც 30 მაისს სამღვდელოების კრებას დაედგინოს: მოსთხოვოს ტფილისის სემინარიის მასწავლებელთ ბ-ნთ ფერაძესა და მახათაძეს და აგრეთვე მოძღვარს ლაბაძეს თავი გაიმართლონ კრების წინაშე იმ ბრალდებისაგან, რომელსაც მათ სდებენ სამსახურის დროს ჩადენილ არა საკადრის საქციელის გამო. რადგან ამ ამბავს შეუძლიან ჩირქი მოსცხოს ჩემს სახელს, საჭიროდ მიმაჩნია მივმართო საამხანაგო სამედიატორო სასამართლოს. გთხოვ ზემოთ ხსენებულ კომისიას ამოარჩიოს თავის მხრივ სამი მოსამართლე, და სამსავე მე ავარჩევ, ორს ერის კაცთაგან, სახელდობრ: ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებელს ბ-ნ დავით გიორგის ძე კარიჭაშვილს და ბ-ნს გრიგოლ თევდორეს ძეს ყიფშიძეს, და სასულიერო პირთაგან: მღვდელს პოლ. კარბელაშვილს. ამ ექვსმა მოსამართლემ გამოარკვიოს: 1: რაში მდებდა ბრალს ის ერთი ჭაბუკი, რომელსაც ჩემსა და ზემოდ დასახელებულის ორის პირის შესახებ სიტყვა უთქვა სამღვდელოების კრების წინაშე; 2. მდება თუ არა ნამდვილად ეს ბრალი და 3. დამიმსახურებია თუ არა კერძოდ მე ის საყვედური, რომელიც სამღვდელოებას სიტყვიერად გამოუცხადებია ჩვენ სამივესათვის ერთად, და ამის შესახებ თავისი გადაწყვეტილება ორსავე ქართულ გაზეთში გამოაქვეყნოს.

სემინარიის მასწავლებელი **ილია ფერაძე**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

7 ივნისი.

სიტიაზა, 7 ივნისი. ჩინელების სიტყვით ჩანტუფუ-სინეტუნ-პალსუნტაის რაიონს იაპონელები დამცველ სიმაგრეებს აგებენ. ამბობენ ლიაოხესკენ დიდ-ძალი მაშველ ჯარებს გზავნიანო. ეტყობა, ლიაოხე იაპონიიდან მოსულ ჯარების ბაზაა. ხმებია აგრეთვე, რომ ჩვენს მარჯვენა ფრთაზე ბრძოლაა გაცხარებული..

ტოკიო, 7 ივნისი. (დეილი ტელეგ.). რუსებს სულ მთლად ხარბინის სიმაგრეებს გარეშე, ქალაქის გარეშემო, რკინის გზის სადგურთან ფორტებზე და სუნგარზე ჰყავთ 54 ათასი მეომარი და 300 ზარბაზანი. გამართულია ტრანშეებიანი ფორტები და გაყვანილია ბევრი ლიანდაგიანი გზები. იაპონელები განაგრძობენ წინ გალაშქრებას და ლაეცნენ კიდეც რუსების ორივე ფრთას: იაპონელებს ბრძოლის ველზე ნახევარ-მილიონზე მეტი ჯარი ჰყავს. ჩრდილოეთ კორეიდან წავიდა 3 ათასი რუსი. იაპონიის გენერალურმა კონსულმა აცნობა ლიან-კიანგის მეფის თანაშემწეს, რომ ურიუს ესკადრას განზრახვა აქვს მიმოსვლა გამართოს იანცზიზეო. ეშინიანთ, ვაი თუ ამან თავზარი დასცეს ჩინელებსო. გონკონგს მყოფი ბრიტანიის ესკადრა ვეი-ხაი-ვეიში წავიდა, რათა 9 ივნისიდან პრაქტიკული საარტილერიო სამსახური დაიწყოს შანდუნის ნაპირებთან.

გუნჩულინი, 7 ივნისი. სისხლის მოწამლვისაგან გარდაიცვალა „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი.

ტვერი. სხდომაზე როდიჩევმა გააცნო დამსწრეთ უმაღლესად მიღების დროს წარმოთქმული სიტყვების შინაარსი, რასაც ტაშის ცემით მიეგებნენ ხმოსნები და დამსწრე საზოგადოება. წინადადება მისცეს ადრესი გაუგზავნონ ხელმწიფეს სახელმწიფოს წარმომადგენელთა პირველად პირის-პირ მიღებისა გამო.

მოსკოვი. მოსკოვში 15 ივნისს ქალაქის თავთა სიეზდია დანიშნული, 18:ს საერობო მოღვაწეთა მიმდინარე საკითხებზე მოსალაპარაკებლად, 20 ივნისს-კი თავად-აზნაურები შეიკრიბებიან. მეფის სიტყვამ ერობათა წარმომადგენელთადმი კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვში. ყველა ერთი მეორეს ულოცავს.

ათინა. მეფემ ახალ კაბინეტის შედგენა მიანდო რალლის, რომელმაც 2—3 დღე სთხოვა მოსაფიქრებლად. კაბინეტი დელიანისტებიდან უნდა შესდგეს.

მადრიდი, 7 ივნისი. სამინისტრო სამსახურიდან გავიდა, რაზედაც თანხმობა განაცხადა მეფემ.

პარიჟი, 7 ივნისი. გაზეთები „ტან“-ი და „დება“ დიდს მნიშვნელობას აძლევენ ხელმწიფის მიერ ერობათა წარმომადგენლების მიღებას. „დება“-ს აზრით, ეს მიღება უტყუარი საბუთია იმისა, რომ ჩქარა განხორციელებულ იქმნება აღთქმული რეფორმები. „ტან“-ი ამბობს, ხელმწიფის სიტყვები დამამშვიდებელია საზოგადოებისათ.

ნიუ-იორკი. „ნიუ-იორკის ჟურნალ“-ში დაბეჭდილია იმ საიდუმლო ინსტრუქციის ტექსტი, რომელშიაც დაწვრილებითაა გატარებული, რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩინეთის საიდუმლო საზოგადოების ხარჯზე დაარსებულმა 70-მა პოლკმა ჩინეთის ერთი-ერთ შორის ომში, რომელიც შესაძლებელია მოხდეს. ინსტრუქცია ამერიკის აფიცრებს უშოვნიათ. ჩინეთის მთავრობამ პროტესტით მიმართა ამ ინსტრუქციის დასტამბვის გამო ვაშინგტონში.

ალექსანდროვსკი. ამას წინად მოსულმა ნიაღვარმა დიდი ზარალი მოიტანა.

კრემენჩუგი. შეჩერებულ იქნა „იუჟნოე სლოვო“.

თეოდოსია. გაიფიცნენ პორტის მუშები და ხელ-ფასის აწევას ითხოვენ.

ლოძი, 7 ივნისი. გუშინ საღამოს რევოლვერით მძიმეთ დასჭრეს პოსტზე მდგომი სალდათი კორნილოვი.

ელისავეტგრადი, 7 ივნისი. ზოგიერთ ეკონომიიდან გლეხებმა გააძევეს მოსული მუშები.

ვინდავა, 7 ივნისი. დღესასწაულებზე არეულობა იყო, რომლის დროს წესიერებაც დაირღვა.

მინსკი, 7 ივნისი. ღამით, ლიახოვკაში პატრულმა მოასწრო ახალგაზრდების ჯგუფს, რომელნიც, ეტყობა, მონაწილენი არიან თვითდაცვის საზოგადოებისა; ისინი სროლაში ვარჯიშობდნენ. პოლიციამ 42 კაცის სახელი და გვარი ჩასწერა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 ივნისი

ვიბორგი, 7 ივნისი. დღეს გაარჩიეს გუბერნატორ მიასოედოვის მოკვლის განზრახველების საქმე და გადაუწყვიტეს მათრეინიკს—2 წლისა რა 2 თვის ციხე, პროკოპეს—100 მარკის ჯარიმა, სტუდენტი რისანენი გაამართლეს.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში გაჰკიცხეს მთავრობა სამხრეთ-აფრიკაში სამხედრო კომისარიატის მიერ ჩადენილ მექრთამეობისა და სახელმწიფო სიმდიდრის გაფლანგვისათვის. ბალფურმა განაცხადა, საქმის გარჩევას სპეციალურ კომისიას მივანდობთო. რუსის ხელმწიფის პასუხმა დიდი შთაბეჭდილება იქონია აქ და ყველა სთვლის მას უდიდეს მოვლენათ რუსეთის ისტორიაში.

ვაშინგტონი, 6 ივნისი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ რუსისა და იაპონიის სამ-სამ რწმუნებულთა ამორჩევის შემდეგ, რუზველტი დაითანხმებს ორივე მოპირდაპირე მხარეს დროებით ზავი ჩამოაგდონ. ამბობენ, იაპონია თანახმაა ამაზე იმ პირობით, რომ დროებით ზავს ორივე მთავარ-სარდლები მოაწერენ ხელსო.

ხარკოვი, შეცდომის გასწორება. ტრუბეცკოის სიტყვაში შემდეგი შესწორება უნდა იყვეს: „დამღუპველი წინააღმდეგობა იქმნებოდა მოგეწვიათ საზოგადოებრივი ძალები სახელმწიფო საქმეებში და ამასთან ერთად ნება არ მიგეცათ თავისუფალ მსჯელობისა, ეს ნდობას დაუკარგავდა რეფორმების განხორციელებას და ხელს შეუშლიდა მათ ცხოვრებაში გატარებას“.

ლონდონი, 7 ივნისი. სწავლულმა ბურკმა ისეთი აღმოჩენა მოახდინა კემბრიჯში, რომელმაც იქნება უდიდესი სახელი მოიპოვოს მეცნიერულ აღმოჩენებში. ბურკს იმედი აქვს აღმოაჩინოს ფაქტი თვით-ჩასახვისა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

---

*). ფოთში მუშებად არიან, ქართველებს გარდა, სომხები, თათრები და ბერძნები.

განცხადებანი

საბუხჰალტერო და საკანტორო
საქმეების კურსები
ტფილისის საკომერციო სასწავლებელში.
(წელიწადი მეექვსე)

კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო მიწერ-მოწერას და სავაჭრო წესს.

სწავლა იწყება 1905 წლის 15 სექტემბრიდან. მთელი კურსი 6 თვეზე ნაკლებ ხანს არ გასტანს. საღამოობით მეცადინეობა სამჯერ არის კვირაში. მსმენელებად შეუძლიათ იყვნენ ორივე სქესის ნასწავლი პირნი. მთელის კურსის ფასი 40 მანეთია.

თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელობაზე მიიღება ყოველ დღე, დილის 10-დან 1 საათამდის, სასწავლებლის კანცელარიაში. (4—251—1)

პირველი
კუბოს მაღაზია!
გიორგი კიკნაძისა





ყველა ნაირი მოწყობილება, რაც კი ეჭირვება კუბოებს. ვიღებ შემოკვეთას, რასაც ვასრულებთ სუფთად და იაფად. ვანქის დიდი ქუჩა „ცნობის ფურცლის“ რედაქციის გვერდით. (0—2)

ნამდვილი
მაისის ბალზამი

ს.—პეტერბურგში ობუხოვის ხიდთან ისევ ისყიდება; ეხლა გადატანილია საკუთარ სახლში, პირდაპირ, ობუხოვის ხიდი 111—15, ბინა—12 მხოლოდ ელენე იაკობის ასულთან კოროსტოვცევასთან, ქმრით სეჩენი.

გამოგზავნა ფას დადებით. ერთი ბანკა გაგზავნით ღირს 1 მ. 40 კ., 12—ბანკა—12 მან., 6 ბანკა—6 მან., პატარა 50 კ., 1 ბანკა 1 მ. 25 კ., 10 ბანკა—8 მ. 95 კაპ. (მც. 3—1)

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებსი ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ნარდად გაყიდვა
სავაჭრო სახლის
„ლიოპოლდ ნეიშელლერ“-ის
საქონლისა სწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346. იქვეა მრავლად
ტყავეულობა
რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (60—ნ.—47)

Доз. цен. Тифлисъ, 8 Іюня 1905 г.

печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა